ფასი 30 კაპ.



№ 1

წელიწადი მესამე.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი.

1. საახალწლო ნობათები, ძველისა. 2. Cეტი, მოთხრობა, დიაჩიანელისა. 3. ტირიფი, ლექსი, ი. სიხარულიძისა. 4. „გზა“, პიესა, სანდრო გურულისა. 5. ნ. ბარათაშვილის ნაშთების გადმოსვენება თფილისში, გ. იოსელიანისა. 6. სხვა და სხვა ამბავი. 7. კრიტიკა, ხომლელისა. 8. მიმოხილვა, ალესილისა. 9. სოფლიო მეცნიერი და ჰუმანისტი, ილია მეჩნიკოვი. 10. დასავლეთის სტუდენტობა, ს. ნინაშვილისა. 11. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუაში, ამბერისა.

1 იანვარი 1917 წ.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოკიელისა.

ცხოვრება № 1.

1 იანვარი 1917 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

საახალწლო ნობათები.

(ქუთაისი)

ქალაქის „მამებს.“

თფილათ ზიხართ, ჰაერს „ყლაპავთ“...
აბა, რაა თქვენი ფიქრი,
ილაყბეთ და იქაქანეთ
და ქალალდზე წერეთ ნიხრი...
იმედია, არ მოაკლებთ
მოქალაქეთ დამპალ პურსა,
მომავალი დააფასებს,
თქვენ ნალვაწს და ნამსახურსა...

—

ვაჭრებს.

ზეცა გრგვინავს, მეხი სკდება,
სისხლით ირწყვის მთა და ველი,
მხოლოთ თქვენთვის დარჩა ეს დრო,
საამო და სანატრელი...
ცარცვეთ ხალხი, არ იწამოთ,
ფულის მეტი არაფერი,
თქვენ შეგირცხვათ სინიდისი,
თქვენ შეგირცხვათ ულვაშ-წვერი!

—

ქ. შ. წ. კ. საზ. გამგეობას!

ასე მკვირცხლათ, თუ იშრომეთ,
„ააშენებთ“ ჩვენ ქვეყანას,
დაიძინეთ, გეთაყვანეთ,
დაიძინეთ... გეტყვით ნანას!..

—

დრ. საზ. გამგეობას!

იმედია, პატრიოტულ
პიესებს კვლავ „მოუხშირებთ“.
ბილეთებს-კი ას „პროცენტით“,
ფასს აუწევთ, გააძვირებთ...
დღეს თეატრი თქვენი არი,
ქეც აბრუნებთ, თქვენ ნებაზე,
ერთხელ მაინც გაისარჯეთ,
აიხედეთ... ქანდარაზე!..

—

გაზ. „სამშობლოს“

„სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა“...
კვალად ხო გწყალობს ვაჭრები?
იმღერე შვების ხმაზედა!

—

ია ეკალაძეს!

„გწუნობენ, მარა შენ ძვირს-კი
ვერ ვათქმევინებ ენასა“,
პუბლიცისტურსა წერილებს
ნუ ალევ აღმაფრენასა...
წერე მოთხრობა... დრამები...
მერწმუნე უფრო კარგია,
პუბლიცისტური სახელი,
შენთვის ზედ-მეტი ბარგია...

—

ჟურ. „ცხოვრებას!“

გისურვებ არჩეული გზით,
მტკიცეთ სიარულს მარადა...
„ხელ-მარჯვეთ ცემდე ჩოგანსა“,
სიმართლე გქონდეს ფარადა...
ვერას დაგაკლებს ორგული,
თვისი მლიქვნელი ენითა,
ისწრაფე აღთქმულ მიზნისკენ
უშრეტი აღმაფრენითა...

—

სახ. უნივერსიტეტს.!

დიადია თქვენი ღვაწლი,
ვით მზის სხივი მოციალე ..
მაშ, სანაცვლოთ ხალხის ნდობა
მიიღე და ინაცვალე!...

„ბულვარისტ — მკლავაძეებს!"

რაღა უჭირს ტანჯულ მამულს,
რაღა უჭირს ქართვლის დედას!
ნუთუ მტერი საზიზღარი
აწი იმას კვლავ შებედავს!
როს თქვენგვარი მოამაგე
ჩვენ სამშობლოს კვლავ დარაჯობს...
მაშ, დაძახეთ ტიკის ყურზე:
„ჩვენ სამშობლოს გაუმარჯოს!"

ნ. ნიკოლაძეს!

პუბლიცისტი ხარ ნამდვილი,
კალამიც დიდათ ფხიანი...
გძნობას ხსნის, სულში მიძვრება,
სიტყვები მჭექარ ხმიანი...
მარა გემდურით... რო დღესაც
შორდებით მშობლის კერასა,
ქართულს არ გვასმენ და კვალათ
მიყევ რუსულათ წერასა!...

ბევრი მჩება მისალოცი,
ჩვენ სამშობლოს მოღვაწენი...
ვიცი, ყველას ეკადრება
ნობათები შესაძღვენი...
მარა, რა ვქნა, დავიღალე,
შუადამე გადავიდა...
და მუზამაც მიღალატა,
გამეცალა, გამიფრინდა...
იმედი მაქვს, კვლავ მეწვევა,
მოსალოდნელ ახალ წლამდი,
მაშინ გიძღვნით, ვინც რო დამჩით...
აწ მშვიდობით... და ნახვამდი...

ძველი.

ცეტი.

ძღვნათ ქ-ია ჯაფარიძის ასულს.

ყველაზე უფრო ლამაზი ცხოვრებაში — შეხვედრებია. შეხვედრები მორცხვი, კრთოლვარე.

ის, რაც უცაბედი ყოფილა, მოკიაფე ვარსკვლავია წარსულ ცხოვრების.

ცის გუმბათს მირიადი ვარსკვლავი აშვენებს. მარა ჩვენ თვალს ცელქი მეტეორი იტაცებს, რომელიც უცეფ მოევლინება ტატნობს, გაანათებს, გულს დაუსერავსდა სივრცეში სამუდამოო გადაინთქმება.

ცხოვრებაშიც, მხოლოთ ის გვიზადავს, რაც სწრაფათ მოვლინებული გულში ჩაგვწვდება, აგვაძგერებს, მიიმალება.

ასულო, ჩვენი შეხვედრაც უცაბედი, კრთოლვარე იყო, ვით მეტეორის გზა ცის გუმბათზე.

ჰო, უცაბედი იყო ჩვენი შეხვედრა!

უცაბედი და ამიტომ ვერაფერი გითხარ!

ახლა-კი ვიწყებ ამბავს ერთი შეხვედრისას.

ბოდვითა და ტანჯვით განდობ ჩემი სულის მიერ შექმნილს, რომელიც სინამდვილეც არი და ზღაპარიც.

ცრემლებს ვღრიდი და ისე ვწერდი.

ალში ვიწვოდი და იხე ვქმნიდი.

და რა შევქმენი, შენ გაწვდი წასაკითხავათ!

წაიკითხე...

წაიკითხე და, თუ შენ სინამდვილე მისი ცხოვრებისა

ზღაპრათ მოგვეჩვენოს, ან ზღაპარი სინამდვილეთ,

მაშინ ჩემი ცრემლები ტყუილა არ დაღვრილა,

ჩემ ტანჯვას უბრალოთ არ ჩაუვლია.

გახსოვდეს, ამით მე არ მინდა ვიპოვო ის, რაც დამიკარგავს.

და, რაც დავკარგე, ის მუდმივია,

რომელიც ხატათ ასვენია გულის სიღრმეში

და მის წინ ანთებული სული სანთელი

მისთვის იწვის, მისთვისა ღნება.

როცა დადნება, დაიმსხვრევა საკურთხეველი.

ხატი ნაფოტებათ გარდაიქცევა,

ხოლო ლოცვა მის სადიდებლათ, ტანჯულ სულის მიერ ცრემლით შექმნილი, მუდმივ დარჩება!!

1.

მოჩუხჩუხებს.

სიპქვებზე მოჩქეფს ზეკრის მდინარე.

მოჩქერს-მთაში ჩაქდობილი ხანის ლურჯ მთაში ჩაქსოვილი.

გიჟური ხმებით შეწყობილი ჩუხჩუხი ისმის, ჩუხჩუხი ჯადო მდინარის, რომელიც ცელქ ტალღებს ამუსიკებს და არეს ატკბობს, რომელიც აქა-იქ შეჩერდება, დატრიალდება, მორევათ იქცევა და ღრუტუნით, სარკეთ ქცეული, გაინაბება!! ამ დროს, იგი სარკეთ ქცეული, თვის ზედაპირზე ამოქარგავს კრიალ ნაფლეთს ცის გუმბათისას, რო თვით ქცეული სარკეთ—იგიც ისარკოს!!

და იბნიდება მორევი და ყურს უგდებს ქვა-კლდეებზე მქუხარე ტალღებს!

ყურს უგდებს, არე-მარე ესარკევება და მიბნედილი სარკეთ ხმაროობს ცას და გარემოს!!

მოჩუხჩუხებს.

სიპ-ქვებზე მოჩქეფს ზეკრის მდინარე...

მთის ფერდობნი—ხევათ ნაქცევი ორივე მხრით, გოლიათივით ამართული, რომელიც მწვანეთ შემოსილი ოდნავ ამთქნარებს, ამთქნარებს უზარმაზარ ხეებით დაფენილი და მთის ნიავსა ქმნის... ტყე ნიავს ანებივრებს. ნიავიც ტყეში თამაშობს! ნიავი ტყეს გულში იკრავს, ტყე ნიავს სულში იძვრენს... და შრიალობენ ფოთოლნი და მოთქვამს ტყე!!

ზეკრის მდინარე-კი შხრიალებს, მოთქვამს და გიჟობს!

2.

ფერდობს, მდინარის გვერდით ამართულ ფერდობს, ვიწრო ბილიკი მოყვება. ნელი ხმით მიღიღინობს ამ ბილიკზე მოხუცი მებადური სიმონა; მას უკან ფიქრში წასული, მოდევს ჭაბუკი ცეტი.

—ცეტი, გამოუჩქარე... ღიმილით ესვრის სიმონა, გამოუჩქარე, თორე კალმახები სხვისი კერძი გახდება.

—კიდე დაგვჩება... უპასუხებს ცეტი და ფეხს აუჩქარებს.

—ბიჭო, უჩემოთ, როცა წამოხვიდე, გიჟმორევს ერიდე.

ცეტი ჩაიცინებს..

ჩაიცინებს, რათგან მისთვის არცერთი გიჟი მორევი არ არსებობს, იგი იცნობს ყოველ ნაბიჯს მდინარისას...

ისინი მიუახლოვდენ ზეკრის მდინარეს.

ორივემ გაიწყო ბადეები.

ღიღინით ისროლეს ბადეები და, მერე, სმენათ ქცეულნი, ნელი ნაბიჯით აუყვენ მდინარეს...

სიჩუმე იდგა. მხოლოთ ამ სიჩუმეს მდინარის შხუილი არღვევდა, რომელსაც ბადაობით გატაცებული მებადურნი ვერა გძნობდენ.

—ცეტი, ბარაქალა, წამოიძახებს სიმონა, „სილამცახა“ დააყოლებს და ბადეში გაბმულ, მოზდილ კალმახსა ხსნის, როცა პარკში გადუძახებს, ბადეს დიდ ლოდზე დადებს და თვითაც მასზე ჩამოჯღება.

—დავისვენოთ, ერთი ყალიონი მოვწიო ამ მზის ჩასვლისას და, ამასთან ერთ ამბავსაც მოგიყვე...

ცეტი სმენათ იქცევა.

—ბიძია, იწყებს სიმონა, ეს მორევი, ხედავ, ცაცხვის ძირას, რო მოუფრთხნია, „ნაძრახი“ ადგილია. თითქმის, ამ მორევს ლამით ყველა მებადური გაურბის, რათგან ბევრი მათგანი უნახავთ აქ დამჩვალი, არავინ იცის, რათ, რისთეის? თითქმის, შენც გაგეგონება, ყოველზაფხულზე უნდა დამჩვალიყო თითო

8

ლომივით ვაშკაცი. დიდხანს ვიკვლიეთ, ბიძია, მიზეზი. გვეგონა, მებადური ბადეს, თუ გადაყვაო. მარა ბადე ყოველთვის ცაცხვზე იყო ჩამოკიდებული, მებადური-კი მორევში უნდა გვეძებნა.

შეხედე, ერთი ბადე ახლაც კიდია ცაცხვის ქვედა ტოტზე! არავინ მას ხელს არ კიდებს.

ცეტი ბადისკენ იხედება და ჟრუანტელი უვლის ტანში...

—იცი, აგძელებს სიმონა, ხმა დადის, წყლის ქალის ბინა უნდა იყოს ეს ადგილი. თვარიან ღამეში, თურმე, გამოდის ის ურწმუნო

დაბანაობს. ვინც ამ დროს შეხვდება მებადური, მოაჯადოებს მისი შიშველი სილამაზე და, მერე, ღუპავს. მარა, სანამ დაღუპავდეს, ატკბობს თვისი ეშხით, გახვევს თავის მაყვალივით თმაში და, მანამ ეთამაშება, სანამ არ მოწყინდება; და, როცა მოწყინდება, გიჟივით შემოახვევს, თურმე, ყელზე თავის გძელ თმას და გუდავს. გუდავს და უსულო გვამს წყალში ხარხარით ისვრის...

გაგიგონია ღამე წყლიდან ცივი ამოხრიალი, რომელიც, უცეფ, გაიხრიალებს და მოწყდება?! ეს იმ ურწმუნოს ხარხარია.

ჰო, ერიდე, ცეტი, ღამე აქ ბადაობას.

ათავებს სიმონა ამბავს და ზეზე დგება.

ჩუმათ ისვრიან ბადეებს.

უცეფ, სიმონა წელზე ხელს გაისობს...

—დაწყევლოს ეშმაკმა, დაიძახებს. ცეტი, გაიქეც, აკი ცაცხვის ძირას თუთუნიანი ქისა დამჩა!..

ცეტი ბრუნდება. სევდიანი ღიღინით მიდის იგი.

უახლოვდება ცაცხვს... იღებს ქისას.

ჩერდება.

უკვირდება მოდუდუნე საიდუმლოებით სავსე მორევს...

აშტერდება... იგონებს სიმონას ნაამბობს. ერუანტელი უვლის ტანში...

მარა ბადეს აიწყობს და მობუტბუტე მორევს გულს უსერავს...

ჩუმათ იღებს ბადეს.

შებრუნდება...

აპირებს წასვლას.

მარა ქვავდება.

იქვე დიდ სიპზე, რომელიც მდინარეს გადმოყურებს, ასული ზის...

ზის თეთრი ტანსაცმელით მოსილი. შავი გიშრის თმა ორ ნაწნავათ წინ მომხიბლველათ უთამაშებს...

სევდით ჩაჩერებია იგი მდინარეს...

—დედა, წყლის ქალი, იძახის ცეტი და ადგილიდან ვერ იძვრის.

—დედა, რა კარგია, და ძირს ეშვება. მას უნდა წყლის ქალმა არ შეხედოს, არ დაფთხეს...

მარა მას ახსოვს სიმონას ნაამბობი და შიშის ერუანტელი დაუვლის ტანში...

უნდა ზეზე ადგეს, მარა ვერ იძვრის.

აი, ასული დგება, გაიღიმებს, მერე, რაღაც სიმღერას დაიწყებს...

ცეტი აქ ვეღარ ითმენს... გული წაუვა და გულწასული რიყეზე ეშვება.

მარა მას ესმის ჯადო სიმღერა, იგი გძნობს შიშსა და ნეტარებას.

—ბიჭო, სა დაგძინებია, უძახის მის საძებრათ წამოსული სიმონა.

ცეტი, უეცრათ, ზეზე წამოვარდება.

—წყლის, წყლის ქალი...

—ბიჭო, რა იყო, ეძახის სიმონა.

—წყლის ქალი, ბიძია, წყლის, აი, აქ ზის ქვაზე, რა ლამაზი, რა ახალგაზდა...

—ნუსულელოფ, წამო, ღამდება.

—ღმერთმანი, გაღმა, იმ დიდ სიპზე იჯდა, იმეორებს ცეტი და ცახცახებს.

მარა სიმონა ყურს არ უგდებს, ღიღინით ისვრის ბადეს და ცეტ კალმახს შიგ ახვევს!!

ცეტი-კი შიშით კრთება, თან ასულის სილამაზით მოხიბლული, ნელა იღიმება!!.

იღიმება და ვერ აუხსნია, მოჩვენება იყო ის, თუ სინამდვილე...

წყლის ასული იხილა მან, თუ მომაკვდავი—მიწისა!!.

3

სევდიანი დარბის იდესი, სევდიანი ჩაირბენს ზეკრის ფერდობს და მდინარის პირს ოცნებობს.

იგი, რამდენიმე დღეა, რაც დედით ამოვიდა ქალაქიდან, სააგარაკოთ.

—დედა, დედა, რა გაძლებს ამ მთაში, ამოიოხრებს იდესი. მარა, რო მოავლებს თვალებს მთის თხემებს, ასწლოვან ხეებით დაფენილს, რო ჩაირბენს და მოისმენს გიჟი მდინარის ლუკლუკს, ყველაფერი ავიწყდება.

და ნუკრივით დახტის.

მიუახლოვდება ასწლოვან ცაცხვს, გადაჯდება დიდ სიპ ქვაზე და მდინარის ჩუხჩუხს ყურს უგდებს.

ის სულ ბავშია—15—16 წლისა.

პირველათ ნახულობს მთის სიდიადეს, მთის სილამაზეს...

ნახულობს და გძნობს მის სიკეკლუცეს— შვენიერებას.

მთაში გაილესება, მას შეიყვარებს!

შეიყვარებს ნაზი სიყვარულით მთის ასულს-გიჟურა მდინარეს და, როცა მზე გადიხრება, მასთან ჩაირბენს, მის სიცელქეს გაეთამაშება, ყურს უგდებს მის მუსიკას და მის ტალღათა ჩუხჩუხში აწნის თვისი სულის ჰანგებს.

4

ცეტი სულგანაბული მოყვება მდინარეს და კალმახს იჭერს.

უცეფ, ჩერდება...

ახსენდება მას სიმონას ნაამბობი, რათგან იგი მორევი სულ ახლოს არი ..

მიუახლოვდა.

ბადე უგულოთ ისროლა, მარა გაშეშდა..

ბადეს არა სწევს.

მის წინ, სიპქვაზე ისევ ის ასული ზის...

ზის და მას მოჩერებია.

ცეტი ქვავდება... ფერი გადაკრავს,მარა აჯადოებს ასულის სილამაზე და იძახის:

—დედა, რა ლამაზი წყლის ქალი!

იდესი კრთება. მის წინაც ლამაზი ჭაბუკია. ლამაზი ჭაბუკი, ბადით ხელში...

მას იგი წყლის კაცი გონია, წყლის კაცი, რომელზეც ბევრჯელ უფიქრია, უფიქრია შიშით, კრთომით და თან სიხარულითაც...

— წყლის კაცი, ალბათ, ეს უნდა იყოს, ფიქრობს იდესი.

უნდა უყუროს, დატკბეს. მარა თანც ეშინია.

უცეფ, კრთება. ეშინია მას სინამდვილის.

ეშინია წყლის კაცის, რომელიც სინამდვილეში მდინარის პირას ევლინება და შიშობს!..

დაფთხალი შველივით წამოიჭრება იგი და ფერდობს აყვება.

გაშტერებული მიჩერებია ცეტი..

— ღმერთო, ღმერთო, წმიდა გიორგი შემეწიე, იძახის იგი და მდინარიდან ამოდის...

5.

უგულოთ ისვრის ცეტი ბადეს. რამდენი ხანია, ერთი კალმახიც ვერ დაიჭირა.

და განა კალმახზე ფიქრობს იგი?!

მისი ფიქრი ცაცხვთან სიპქვას უტრიალებს.

და სიპქვაზე მჯდომ წყლის ასულს...

მან მოიტაცა მისი მე, მას გაატანა თვისი გული, თვისი სიხალისე, სიცილი, ღიღინი.

ჩუმათ ისვრის ბადეს და წინ დაეხატვის „წყლის ასული“, დაეხატვის და ობოლი ცრემლი წყდება, წყდება და ანკარა მდინარეს გულსა წვავს.

აგერ, ერთი კვირაა უმზერს ქვაზე საღამოობით მჯდომ ასულს. უმზერს, გაიგო, რომ იგი „წყლის ქალი“ არ არის, არამედ ზეკრის აგარაკზე მოსული, მოსული სააგარაკოთ...

გაიგო მისი სახელი, მარა ერთი ვერ გამოელაპარაკა...

უხმოთ აუვლის გვერდს.. ერთს შეხედავს...

და იწვის ცეტი, იწვის, რაღაც ძალით, რომელსაც სახელი ვერ უპოვა, რომელიც ტანჯვაც არი და ნეტარებაც...

6.

სევდით დათალხული იდესი სხვის სევდასაც გძნობს.

სევდამ იგძნო სევდა.

პირველი სიყვარულის მწვავე ისარმა იდესის გულიც დაკოდა.

მთის ვაჟმა იმისი გულიც წაიღო!!.

ლოცვა სიყვარულისა მდინარის პირას იდესის მიერ უხმოთ ითქვა.

ლოცვა სევდისა ტრფობის ჰანგში შეეწნა და არეს მოედვა.

სევდიანობს იდესი.

სევდა მისი სევდით გამოითქმის, რათგან მას უყვარს.

და უყვარს მას მებადური—წყლის ვაჟი.. უყვარს მისი სევდა.

მარა უხმოა იდესი—ვით თვით ტანჯვა.

უხმოა—ვით თვით სიყვარული.

უხმოა, მხოლოთ მაშინ გაიღიმებს, როცა ცეტი, ბადით ხელში, მის საყვარელ მორევს გაუსწორდება და გადმოხედავს. აი, მაშინ ჟრუანტელი, ტკბილი ჟრუანტელი დაუვლის და იგი უზომოთ ნეტარებს....

7.

ცეტი მის წინ იჩოქებს.

იჩოქებს, რათგან იდესი მას უძახის და თვისთან იხმობს..

ცეტი დგება.

იდესს თვალებში აშტერდება.

—მე ხვალ მივდივარ.. რო ველარ მნახავ საღამოობით, არ მოგწყინდება?!

ცეტი კრთება.. თვალებს ძირს დაუშვებს.

—მე ხვალ მივდივარ... მშვიდობით „წყლის კაცო“.. ხელს უწევს.

—მართლა, შენი სახელი?!

—ცეტი..

—ცეტი, ჩემი სახელი-კი იდეს, იდა!

ისინი ერთმანეთს მიჩერებიან.. მათი ტანნი თრთიან, გულნი თრთოლვენ..

—იდესს დარჩი..

—არა, დედა არ დამტოვებს.. და ქვითინი აუარდება. მე შორს უნდა წავიდე, ველარ გნახავ..

ცეტი არ ინძრევა.

—აი, ამ მთებს გადაღმა უნდა წახვიდე?!

—ჰო, ამისანა მთები ბევრი უნდა გავიარო..

იდესს ცრემლები დის.. იგი ქვითინებს... ქვითინებს ნახულსა და დაკარგულ სიყვარულს.

ქვითინებს განვლილ სევდას. ტირის მთის სილამაზეს, ეთხოვება მთას, მის მოდუდუნე გიჟ მდინარეს, მის საიდუმლო ლეგენდას—ცეტის..

—მა, უნდა წახვიდე?! და ცეტი ნელა ღიღინებს. ღიღინებს ცეტი, რათგან იგი რეტდასხმულია, იგი სინამდვილეს ვერა გძნობს,სინამდვილეს განშორებისას, არამედ ნეტარებს იმით, რომ იგი იდესის ახლოს არი,მასთან საუბრობს.

—„მა, უნდა წახვიდე?!

„ჰო, და იდესი დგება. და ცეტის აშტერდება.

—მშვიდობით, და ხელს გაუწევს..

—მშვიდობით და, იდესი, უცეფ, ცეტის ყელს შემოეხვევა და ტუჩებში კოცნის..

კოცნის და, უცეფ, შორდება, ვით ჩიტი, ქრება..

ცეტი თავბრუ დასხმული, თვალ მიბნედილი დიდხანს არი... ბოლოს, თვალებს გაახელს, ამოიფშვნეტს.

—იდეს, იდა, დაიძახებს იგი სევდით, ტირილი ისმის მის ხმაში.

ხმას არვინ ცემს.

—დედა, წავიდა. და იგი გძნობს საშინელ სევდას. მან დღეს იპოვნა თვისი „წყლის ასული“ და აღიღინდა მეტის სიხარულით, მარა ისევ მალე დაკარგა და მწარეთ აქვითინდა, რათგან უზომო ბედნიერი, უზომო უბედური გახდა...

გაშტერებული დაიარება ცეტი.

იდესი წავიდა.

ველარ ნახულობს.

სევდიანი ჩაუვლის სიპ კლდეს.

სევდით უკვირდება ცაცხვის ძირას მოდუდუნე მორევს...

—იდესი შორს წავიდა, შორს, ფიქრობს ცეტი, გაიარა ეს ერთმანეთზე შეწყობილი მთები.. გაიარა.. მერე კიდევ, ბევრი იმგზავრა.. ახლა იგი შორს არის, შორს..

სევდამ გული დაუწყლულა...

—დედა, დედა, ოხვრით იძახის ცეტი.. მას საშინელი სევდა, სევდა ტრფობისა ტანჯავს.

აქ, ამ მთაში მას სული ეხუთვის.

ზევით აიხედავს მთა, გვერდზე გაიხედავს —მთა! საითაც უნდა გაიხედოს, ყველგან—მთა.

და გული უწუხს...

და პირველათ მთის შვილი გძნობს მთის მძულვარებას, რათგან მან შეხუთა მისი სული, დაუკარგა მხედველობა—მის არწივისებურ თვალებს...

სულს ძლივს იბრუნებს.

ცრემლები ადგება თვალებზე.

ხშირათ დაჭრილი ლომივით შეხტება.

ოხ, რათ არ შემიძლია ჩავამტვრიო ეს მთები და გზა გაუშალო ჩემ თვალებს, წამოიძახებს იგი..

ცეტის სურს მის წინ ამართული მთის თხემები დაინგრეს, დაილეწოს, რო გაიხედოს იმ მხრით, საითაც იდესი ეგულება.

მარა ამაყი თხემები არ ინძრევა.

მთის მწვერვალნი მედიდურებენ და ცეტის ასეთ სურვილს მდუმარებით უპასუხებენ.

9

შემოდგომაა.

ცეტი ზეკრის გზა ტკეცილზე გამოსულა.

ბოგირის ქვაზე სევდიანი ზის...

ზის და დაყურებს გიჟურ მდინარეს.

უცეფ, გააზმორებს.

— იდესს, წამოიძახებს.

— ნეტავ, სად არი? როდის ვნახავ?!

ცრემლი ცვივა.

იგი გძნობს, რომ იდესს იგი ვერასოდეს ვერ ნახავს, რომ იგი მოჩვენება იყო მისი ცხოვრების, ზღაპარი იყო მისი სიცოცხლის! მარა იგი მოჩვენება თვალწინ უდგას, თვისკენ იწევს, უძახის, ხელს უქნევს!!

გზა ტკეცილზე გამოდის, გახედავს გზას, რომელიც ფერდობზე ხეობაში მიიკლაკნება ლამაზათ.

მან იცის, რო ქალაქში მიდის ეს გზა.

მარა, იქ ხო არასოდეს არ ყოფილა.

ნეტავი, აჩვენა—მაინც, ქალაქი.

შეიძლება, სადმე მოკრას თვალი თავის წყლის ქალს.

— ბიძია, ეს გზა ქალაქში მიდის“.

— ხო, ეუბნება მგზავრი.

— შორს არის აქიდან ქალაქი“!

— 60 ვერსი იქნება...

— დიდხანს მოვუნდები იქ ჩასვლას?

— მეორე დღეს ჩახვალ, ბიძია! რა გინდა ქალაქს? ეკითხება მგზავრი.

— მინდა ქალაქი ვნახო..

— ჰმ, გადააქნევს მგზავრი თავს და ხარებს შეუტევს...

დარჩება ცეტი... ფიქრს მიეცემა... ასეთივე კითხვებით იგი თავს აბეზრებს, აგერ, ერთი თვეა, მგზავრებს.

— ცეტი, აქ რა გინდა? ხელსა კრავს მეზობლის ბიჭი.

— ჰო, უპასუხებს ცეტი, ქალაქის ამბავს ვეკითხებოდი მგზავრებს. ჰო, რომ იცოდე, რა მინდა ქალაქის ნახვა...

— წაყე მეურმეს, ქუთაისს ჩაგიყვანს.

— მეშინია, ბაბა გამიწყრება.. და ცეტის თვალებიდან ცრემლის ნაკადული წასკდება.

— ამოდენა ბიჭის ტირილი გაგონილა?! შინ წამო, და მეზობლის ბიჭი ხელსა კიდებს.

— გამიშვი, ბრაზით ეუბნება ცეტი, ვერა ხედავ, ბადე მკიდია, სათევზოთა ვარ წამოსული.

ზეზე დგება. თავჩაქინდრული დაუყვება ბილიკს.

გული მისი სკდება, სული ტანში არ ეტევა. და ბოლმით მიაბიჯებს იგი.

უცეფ, შედგება.

გაიღიმებს, იგი რაღაცას იგონებს.

სახე გაუბწყინდება. შეათამაშებს ბადეს და ღიმილით მაღალ მთის მწვერვალს მიაშტერდება.

10.

— იქ, იქ უნდა ავიდე! აი, იმ მაღალ მწვერვალზე.. ღვთისშობელო, შემეწიე!

ცეტი იჩოქებს...

ნელა გამოთქვამს მისი ტუჩი მხურვალე ლოცვას!

თვალები ცრემლით ევსება...

— წმიდა გიორგი.. შემეწიე, უკანასკნელათ წაიბუტბუტებს იგი და მთის მაღალ მწვერვალს აშტერდება..

იქ, იქ იმ მწვერვალზეა მისი უკანასკნელი იმედი.. მას გონია, იქიდან გადახედავს არეს, დაინახავს ქალაქს და იგძნობს იდეის სიახლოვეს...

ზეზე დგება...

გაუდგება გზას.

და მიდის მაღლა.

მიდის იგი და ფეხი უცდება.. ძირს ეცემა.

ჭყორისა და შკერის ფოთლები პირისახეზე ელამუნება და პირისახე ეწვის.

მწვერვალი-კი ჯერ შორს არი. მიდის იგი. ეხევა ქალამნები.

ეკლებმა დაუსერეს კანჭები, მარა იგი მაინც სულ ზევით მიიწევს, მიიწევს ღიღინით..

დღეს იგი პირველათ ღიღინებს, მას შემდეგ, რაც იდესი წავიდა.

დიდხანს მიდის იგი. სისხლი დადის ხელებში, ნაფლეთებათ ექცა, კლდეებზე ხოხიალით, ტანსაცმელი.

მარა იგი მიდის...

თლად უცახცახებს სხეული... მარა იგი არ კრთება..

აი, ახლოს, სულ ახლოს არი მწვერვალი.

ერთს ამოიღიღინებს იგი და მწვერვალის თავზე ჩდება.

შეჩერდება.

მარა საშინელი კივილი ამოსკდება გულიდან.

და იგი ძირს დაეშობა..

შტერდება. მის წინ უფრო მაღალი მთის თხემები არის ამართული..

სული შეეხუთვის.

იგი მიხვდება, რო მთის თხემების მიერ შეწყობილ გალიაში ზის!!

მიხვდება და ქვითინებს...

დიდხანს ქვითინებს... მისთვის უკანასკნელი იმედის კარი მიიხურა. მარა მისი ტრფობა უფრო მწველი შეიქნა.

იგი აფთარივით ეშვება ძირისკენ..

აი, იგი თავის საყვარელ ცაცხვთან არის.

თვალს მოავლებს იმ სიპს, რომელზეც იჯდა ხოლმე, მისი ოცნება - მისი „წყლის ქალი“.

სიპზე ჯდება.

მდინარის ლოცვას ყურს უგდებს.

და ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოდის.

უცეფ, შეკრთება. მან თვალი მოკრა ცაცხვზე დაკიდებულ ბადეს!! მიდის, თავის ბადესაც იქვე კიდებს.

ღიმება ცეტი. ცრემლებს შვა ღიმება.

ცრემლი დის და, თან ღიმება ისე, როგორც მზე ანათებს და ამ დროს, მზის სხივთა შორის ჩაქსოვილი წვიმაცა სცრის.

— აწი აღარ ვიბადავებ.. შენც იშოვი, ცაცხვო, მეორე ბადეს.. ჩემსავით, ობოლო ბადევ, შენ-კი მეგობარი გაგიჩდება.

ღიმი, ღიმი შეუთამაშებს ტუჩებზე, ცრემლი, ცრემლი დის ლოყებზე.

— მე ვნახავ, ვნახავ იმას- იდეს. ვნახავ ჩემს გოგონას..

და მორევს აშტერდება...

მოწყდება სევდა-სიხარულის ცრემლი, სახე უბწყინდება, თვალებში დაუბნელდება...

წამი და, იგი მორევში კისრით გადაეშვება...

წაიბუტბუტებს მორევი...

დაიკვნესებს ცელქი ტალღები.

გარს შემოეკვრის იგი, რგოლებივით, ცეტის ობოლ გვამს, დაუკოცნის სევდით სავსე ტანს და მეტის ალერსით გულში ჩაიკრავს, სამუდამოთ შეაჩერებს მის გულის ცემას და უსულო სხეულს, მორვის ფსკერზე უხმოთ დაასვენებს...

დაასვენებს, დაუკულულებს შავ-გიშერა თმას და ალერსით კოცნას დაუწყებს დახუჭულ თვალებს, კიდევ - თფილ ტუჩებს.

და მოუთხრობს ზღაპარს, ზღაპარს იმ საოცნებო წყლის ასულზე, რომელიც ცეტიმ პირველათ, ქვაზე მჯდომი, აქ მორვის პირას იხილა, რომელმაც დაკოდა მისი გული და ზღაპრათ აქცია მისი ცხოვრება.

ვინ იცის, შეიძლება, ოდესმე კიდევ ეწვიოს იგი ასული აქაურობას.

ნახოს მორევი მობუტბუტე — ცეტი კი — ვერა, როცა იგი ფიქრში წასული ამ მორვის ტალღებს დააშტერდება, მაშინ ის ტალღანი მას მოუთხრობენ ცეტის ამბავს, ცეტის დაღუპვას...

ვინ იცის, შეიძლება, ამ დროს ასულმა ცრემლებიც დაღვაროს!..

შეიძლება, გულიანათაც გადიკისკისოს.

ვინ იცის?..

მარა, ტალღები მას მაინც მოუთხრობენ ცეტის ცხოვრების სევდიან ზღაპარს, მაინც გაახსენებენ იმ ბავშურ ხანას, როცა პირველი სიყვარულის ლეგენდა მისთვის ცხოვრებათ იქცა და ეს ცხოვრება-კი მოჩვენებათ, რომელიც ყველას გვავიწყდება, მარა ყოველთვის გვახსოვს.

დია ჩიანელი.

ტირიფი.

ტბის პირათ იდგა ტირიფი, მტირალა, თვალცრემლიანი,
ძირს გადმოხრილი შტოებით, ლურჯ ფოთლებ ხუჭუჭ თმიანი;
ჩაცქერდა ტბისა სარკესა, ტიროდა, ყრუთ ქვითინებდა,
იდგა უძრავათ, ქარი, თუ არ ქროდა, არ სისინებდა...
და, როცა იგი მძლავრ ფთებით იწყებდა ბერვა-ქროლასა,
მაშინ საზღვარი არ ქონდა მის ცახცახ-რხევა თრთოლასა.
თმა აბურძგვნილი საშიშრათ ყოველმხრივ იღვენთებოდა,
შეწყვეტდა ცრემლთა ფრქვევასა, ქარს მედგრათ ეომებოდა;

ვით გმირი, რაზმსა მტრისასა, ქარს ფთებს შტოებით უპრიდა,
მარტოკა მდგარი ველზედა სტიქიონს ქედს არ უხრიდა...
რა ჩადგებოდა ქარი და გამეფთებოდა დუმილი,
ტირიფი იდგა უძრავათ, ჩაცქერდა ტბას დაღვრემილი,
ღამით ნაფრქვევი ცრემლები ტანზე მძივებათ ასხმული,
ცისკრის ჟამს ვეცხლებ ელავდენ, მზის ოქროს ძაფზე აცმული...
და ამ ცრემლებში მოკრთოდა რაღაც ტკბილ სევდის სინაზე,
ჩუმ ღაპა-ღუპით ცვივოდა ლურჯი ტბის სპეკალ მინაზე.
რიჟრაჟზე მიველ ტირიფთან, ცრემლებში რო პრიალობდა,
მესმა, ფოთოლთა შრიალში, ასე მღეროდა, გალობდა:
„მიწის შვილი ვარ, შავ მიწის, მის მკერდზე დაბადებული,
ძუძუთ ცრემლები მაწოვა, მწარ ფიქრით შედედებული,
ნანათ მესმოდა გლოვის ხმა, წყლულ გულის გამომახილი,
მომხიბლა ჩუმმა სევდამა, ვისმენ მის მკერდზე დახრილი...
ერთხელ, დაქროლა გრიგალმა, თმა ამიწეწა ძალზედა,
გადამარხია, და იქვე, მიწის ცრემლ-ტბისა წყალზედა,
ჩემ სახეს თვალი მოვკარი, მის გულში გამოხატულსა,
ავხსენი ტანჯვის მიზეზი, რაც აწუხებდა ჩემ სულსა:
მე ჩემი სევდა ვიხილე, გული სიამით გაშუქთა,
ვჭრეტდი წარმტაცათ აღბეჭდილს და ტანჯვა შემისუბუქდა...
ქედს აღარ ვუხრი, მას შემდეგ, ქარიშხალს, რისხვით მონაქროლს,
რიჟრაჟზე შვების ცრემლებს ვღვრი, მზიურ ღიმილით ანათრთოლს...
ვიშ!.. ნეტარება ყოფილა ხილვა შენივე წყლულისა,
სრულ-ქმნილის, ნახატ-შემკულის, აღბეჭდილ—ხორცშესხმულისა.

ი. სიხარულიძე.

„გზა.“ *)

მოქმედება მეოთხე.

(კეთილაძის გაპარტიზებული ეზო; მოჩანს ისლით დახურული პატარა ფაცხა, რომლის პარმახში აკვანთან ზის ქეთო და ბავშს ნანინას უმღერის).

ქეთო.—ნანინაااი ნანაშიო, ნანინაი ნანაშიო, ნანინااااი. (მძინარე ბავშს პირსახურავს გადააძრობს და ცოტა ხანს სახეზე დაცქერის) იძინე, იძინე, გენაცვალოს შენი გაძალლებული ნენაი! (პაუზა). ღმერთო დიდებულო, რა დაგიშავე მე უბედურმა, ღმერთო, რა დაგიშავე, რო სიკვდილის ღირსიც არ გამხადე? უფალო, გეხვეწები, მაკმარე ამდენი ტანჯვა, მიიბარე აი ჩემი ტანჯული სული! (ჩაღუნავს თავს და ტირის. ფაცხიდან გამოდის ნინო და სიმიდიანი ტომარი გამოაქვს).

ნინო.—ციცავ, ნუ გამიწყალე გული, მაი შენი ფლიკვინით, ნუ გამიწყალე, თვარა საშინელ საქმეს მაქნიეფ. მაცოცხლე ორი დღეი კიდემ. აფერი გიჭირს. ტირილს და მოთქმას რო რამე შეეძლოს, დღეს ჩვენისანაი მოსახლე ერთიც არ უნდა იყოს ჩვენ სოფელში (ტომარას ბაწრით თავს მოუკრავს).

ქეთო.—წისქვილზე მე წავალ, ოჯო, მე!

ნინო.—წისქვილზე წასვლას არავინ გეხვეწება, მეც ქი წევეთრევი, უკეთესია სახლში იყავი და მაგ ბალანას მოუარე! ეგება, მარინაი მევიდეს და ბალანას შეულოცოს. ლილას ქი დამპირდა, თუ არ მომატყუა. (გზაზე გამოჩდება გადამხდიელი).

გადამხდიელი.—(ალაგზე მოადგება). შვადღე მშვიდობისა, ნინო! აპა, ფულები, თუ ქალი

*) იხ. „ცხოვრება“, № 17—18.

ხარ, ფულები, რამდენია შენზე? ხუთი მანათი და სამი აბაზი.

ნინო.—(მივა მასთან) რას ამბობ, სილიბისტრო, მაგას? რა ამბავია, აწი ხუთი მანათი და სამი აბაზი?

გადამხდელი—ასეა, ჩემო დედავ და რას იზამ? ორი მანათი დრამის ფულია, დანარჩენი ხაზინის და მასწავლებლების.

ნინო.— კი, მარა ღმერთი არაა თქვენთან, თუ რა ამბავია, სიდან ვიშოვო ამდენი. ფული, სიდან? იგი, აბა, დღეს მამასისხლათ ვინდევი ერთი ბათმანი სიმიდი!

გადამხდელი.—მაი ჩემი საქმე არაა, ნინო, — ვისაც რაი აქვს შეწერილი, იმდონს ვახდევიებ, არც მეტს, არც ნაკლებს.

ნინო.—(გულმოსული) არაა და, რაც გინდათ, იი ქენით! ხუთი მანათი-კი არა, ხუთი კაპეიკის შოვა არ შემიძლია!

გადამხდელი.—მე-კი გითხარი, ჩამო დედავ და აწი შენ იცი. ხვალ, თუ ფული არ დაგიხვედრებია მოვალ და, რაც ხელში მომხვდება, ყველაფერს კანცელარიაზე ჩავალაგებ (მიდის).

ნინო.—(გაანჩხლებული) ჩაალაგებ-კი არა ფეხსაც ვერ ჩამოამიჯებ ეზოში, ფეხსაც!, აი თქვენ ულმერთოებო, თქვენა! რაღა მაქვს, რო წეიღოთ? ველარ ხედავთ ქვ მაინც, ჩემი ოჯახის მუშაკაცი ერთი მიწაშია და მეორე ცოცხალია, თუ მკვდარი, არ ვიცი? მერე, სულ თქვენი გულობიზა, თქვენი!

გადამხდელი.—(შეჩერდება) ღმერთმა—კი იცის, ნინო, მეცოდები, მარა, რა ვქნა, დედავ? მე თვითონ აფერი მაქვს და შენ, რა უნდა დაგეხმარო? (ნინო გამობრუნდება).

ნინო.—(თავისთვის) აი, ღმერთო დიდებულო, შენ გააოხრე და გააპარტახე მაგათი ოჯახი, რავაც ჩემი ოჯახია, ისე! მაშინ-კი მიხვდებიან, რავაი კაი საშონელია ხუთი მანათები. (ზურგზე ტომარს მოიგდებს. ქეთოს) ჭკუით იყავ, ცავ, ჭკუით. მე წისქვილზე ჩევეთრევი, თუ ჩავაწიე, იქიდან ჩვენ დუქანზე გამევიარ, ეგება, თედორე ვნახო, იმან, თუ მიშოვა კიდევ ორი გროში, თვარა მეტი საშველი აღარ მაქვს. (მიდის, ქეთო აკვანს თავს დაადებს, ჩუმათ ტირის, (კოტა ხნის შემდეგ, გზაზე გამოჩდება მარინე).

მარინე.—(ალაგედან) ქეთო, ცავ, ძაღლი ხომ არაა ვინმეის მაქანე? არ დამჭამოს, ქალავ (ქეთო წამოდგება, მარინე დაინახავს.)

ქეთო.—მობძანდი, მარინე, მობძანდი! არა კაცის ძაღლი არაა, ნუ გეშინია (შეეგებება.)

მარინე.—რავაა, ცავ, ბაღანაი, ძინავს?

ქეთო.—ძინავს, შენი ჭირიმე. ღვთის და თქვენი წყალობით, ჯერ ქი მყავს გვარიანათ, მარა რაცხა, მარინე, ფერი ჩაეტეტკვა და ხან და ხან ძილშიც აბორგებს; ძუძუსაც არ წოვს ხეირიანათ. არ ვიცი, რა მემართება, მე უბედურს. (ჯორკოს დაუდგამს) დაბძანდი, მარინე, დაბძანდი.

მარინე.—(აკვანთან დაჯდება, ბავშს პირსახურავს გადააძრობს და სახეზე დახედავს) რა მარგალიტი ბაღანაი გყავს. ცავ, რომ იცოდე, რო გეიზდება, წორეთ მაგისანაი ბიჭი ჩვენს მუხურაში არ იქნება.

ქეთო.—ღმერთმა კაი იმედი მოგცეს, ჩემო მარინე, შენც გაგიზარდოს ღმერთმა და მოგასწროს შენი შვილები. აბა, შენ იცი, მარინე, შენი ჭირიმე, რავა ერთგულათ შეულოცავ მაგ ბაღანას,—სამაგიეროთ, იმსახურე ჩემი თავი.

მარინე.—შელოცვა რა უნდა იყოს, ბეჩა, მაგას რავა დაგამადლი თვალნაკრავს-კი გავს, მარა, ნუ გეშინია. რაქვია ამ ბაღანას, ქი დამავიწყდა

ქეთო. გოგლი, შენი ჭირიმე!

მარინე.—(ბავშს ჯვარის სახეს გადაწერს და ულოცავს): სახელითა ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა. შეგილოცავ თვალ-ყვისასა, შინა გარე კაცისასა, ბრძენისა, რეგვენისა, სტუმრისა, მასპინძლისა, ტან-დაბალისა, თეთრისა, თეთრფეროვნისა, შავისა, შავგრიმანისა. ეგერ მოვა შავი წყალი, იმას მოაქვს შავი გველი, ჩავკარ შავი ოცვარჯენი, ამოვიღე შავი გველი, დავდევი შავ ქვაზე, დავასხმე შავი შხამი. ქვა სკდებოდა, ქვა ქრებოდა, წყალდებოდა, ქარდებოდა. ამ გოგლის ავი თვალით შემხედვარე გადიარა მთაზე, თავი დაარა ქვაზე, მუცელი სამართებელზე (ამთქნარებს, სულს უბერავს) ქარსა და ნიავს გაყვეს გოგლის სატკივარი. (სამჯერ განიმეორებს. ქეთოს) მოგირჩენს მამა ღმერთი და სულიწმიდა.

ქეთო. ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო მარინე. ოი ღვთის მშობელო, შენ დუუფსე და დუუყენე თვალები, ვინც აი ბალანაი გამითვალა.

მარინე.—ნუ გეშინია, ქალო, აფერი უჭირს, თუ ნათვალავია, აი ლოცვა, უსათუოდ, მოუხდება. ისე ქალავ რავა, ყველგან რომ აპწიოლებ ამ ბალანას, გათვალავენ, აბა, რას იზამენ!

ქეთო.—რა ვქნა, შენ გენაცვალე, მარინე, რაფერ მევიცილო, რაფერ, თვარა მიწა გამისქდება, რავა დავანახვეფ ვისმეს. (ცოტა პაუზა).

მარინე.—ჰე, რა გოგო იყავი, რა გოგო, შე უბედურო და რავა ტყულაი გეიფუჭე თავი, ყველაი იმას ამბობდა-სიმონა კეთილაძისანა გასათხუარი ქალი ჩვენ მუხუროში არ მეიძნებაო.. ჰე, ჰე, ჰე, აფერი გესმის? (ქეთო თავს ჩაღუნავს).

ქეთო.—ნუ გამახსენებ, შენი ჭირიმე, მარინე, ნუ, იმ ჩემი ცოდვით სავსეს! (ცოტა პაუზა. ამოოხვრით) ერთხანს ქი ამბობდენ ციხეშია დაჭერილიო და ახლა დიდი ხანია აფერი გამიგონია. (ჩუმათ ტირის).

მარინე.—ოი ღმერთო, შენ გადოუხადე იმას სამაგიერო, ამ ციცაის ასე გაუბედურებიზა! (ცოტა პაუზა). ისე მაინც რაფერ გაბრიყვდი, შე საწყალობელო, რაფერ, როჯვარის დაწერამდი თავი დაანებე იმ წყეულს? მეც ქი გამოვცადე ქალიშვილობა, მარა მაგნაირი აფერი ჩაშიდენია,—თავი-კი არ მომიჯაყავს. კაცებს რა ენაღვლებათ, ქალავ, რას კარქავენ, ჩვენ უნდა ვიკითხოთ, თვარა? სინამდი გაუთხოვარი ვიყავი, ჩემი შვილები ნუ მომიკვდება, ისე მეჭრა თავი, ისე, რავაც სავსე ჭიქა. არ მეარშიყებოდენ, თუ? იმდენი სიკეთე მე და ჩემ ქმარ-შვილს, რამდენი ახალგაზდა მე დამეწვას და დამეხრაკოს. ჰე, რაც იყო, იყო ქალავ. წამხდარ საქმეს ვეფერი ვერ გამოაკეთებს.

ქეთო.—(ტირილის ხმით). რომ იცოდე, მარინე, რა უბედური ქალი ვარ, ცოტა მაინც-კი შემიცოდებდი. ათასჯერ მინდოდა წყალში გადავარდნა. ათასჯერ, მარა ამ ბალანაის საცოდაობამ დამაკავა. რა ვუყო, ვის დოუტიო, თვარა ღღესვე გადავარდებოდი წყალში.

მარინე.—პირ-ჯვარი გადიწერე, ქალავ, პირ-ჯვარი და ქკუით იყავი. აფერი თავის მოსაკლავი არ გაქ. იმფერი აფერი გიქნია, რაც სხვას არ დამართოდეს. ოქროსავით ბალანაი გყავს, გაზარდე და გიპატრონებს. (ცოტა პაუზა). ჰე, ჰე, ჰე... კაი დამართოს უფალმა ღმერთმა და მშვიდობით დააბრუნოს სახლში, მარა ისე გერმანეს ბრალი კია ყველაფერი. ცხონებული სიმონა კეთილაძე გადაყვა და გადააწყდა მას. თითოკაპეიკობით სესხულობდა მისთვის და ისე ზდიდა. იმან-კი ასე დოუმახსოვრა. მიატია ოჯახი, დედა, დაი და გადიკარქა საცხა. მაი ღმერთმა ნასწავლს-კი არა, უსწავლს ნუ დამართოს. გასათხუარ ქალს რო პატრონობა უნდოდა, რავა, მაი იმან რეიზა არ იცოდა? სხვებიც ქი არიან ნასწავლნი, მარა სახლ-კარი-კი არ გოუოხრებიათ. აი, ჩვენი თედორე ნასწავლიც კია და ყველაფერი, მარა კი არსა გადაკარქულა. ღმერთმა იმისანაი ჩემი შვილები გამეიყვანოს, ი რომაა; თავისთვისაც კარგია და სოფლიზაც. აი, ესო და სასოფლო დუქანიო, ეს ბანკიო, ეს ქალების კლასიო, ბიჭია-ბიჭი, რო ქვია იმისანაი, ქალი ითხუა და, აბა, იმისანაი ჭკვიანი და ნასწავლი ქალი დედა-მიწაზე არ მეიძებნება. ჰე, კაცმა რო მკითხოს, უკეთესია ზოგიერთი შვილი მეყანეთ გაზარდო, მეყანეთ, თვარა თუ ყურსი გაათავებიე და პროფესორი გამევიდა, მშვიდობით, დედ-მამასაც დეივიწყებს, მტერსა და მოყვარეს (პაუზა). ჰო, ი მინდოდა მეკითხა: როის ათავებს, ნეტაი, აი გერმანე, ი ციმბრია, თუ რაღაცა დასაღუპავი?

ქეთო.—რა ვიცი, შენი ჭირიმე. გუშხამ ნენამ გამეითვალა და ორი წელიწადი კიდემ უკლიაო. ისე, საკალანდოთ რო თამრომ წერილი მიიღო აპოდან, იმაში წერია, რო გერმანე შეიძლება ადრე დაბრუნდეს სახლშიო. ცოტა ავათ ყოფილა, მისი ჭირიმე და კანკასიაში უთხოვია დაბრუნება. რაცხა მანიფესტი ყოფილა და ცოტას იგიც შველის, თურმე.

მარინე.—აი, ღმერთმა ქნას, ღმერთმა მოწყალემ და მალე დააბრუნოს სახლში! ისე მაინც, რა ჩეიღინა, ნეტაი, იმისანაი, რო ასე გადაკარქეს? ახალთაობაში სხვებიც ქი ერიენ, მარა ქი არიან სახლში.

ქეთო.—რაიო, შენი ჭირიმე, მარინე და რაცხაი ფინთი წიგნები უნახესო, მთავრობის საწინააღმდეგოვო.

მარინე.—აი, აი, რავა ტყულათ დოულუპია თავი! ვითამ რავა, რეიზა შეინახა იმ საწყალობელმა იმფერი წიგნები, რეიზა?ახლა-კი ის წავლიდა ქე მაინც ჭკუას. თედორესავით რო ყოფილიყო სოფელში, მაი ხომ არ დეემართებოდა? ოჯო, და რაფერ იქნებოდა სოფელში, რავა მწერლობა არ იკადრა, თურმე და ღლუბერანტორობა არავინ მიცა. (პაუზა) ყველაფერი ყველაფერია, მარა ჩიტის წველა არ მიკვირს ისე, აი თამარას საქმე, რო მაკვირებს. რომ ალარ თხოვდება მაი ქალი რავა, ნეტაი, ასე გაგიჟებით უყვარს გერმანე? რავა დევი ჯერო მაი, რომ ასე უყვარდეს?ოჯო და გერმანეს რომ ასე ყვარებოდა არც-კი დატიებდა. არა, თამროს-კი უნდა უყვარდეს, თვარა მე შენ გეტყვი, ქმარს ვერ იშოვის, თუ რაი? აზნაუშვილის ქალი მაია, ნასწავლი და გაზდილი. მარა, აი ახალთაობა, რომ იყო, მერე, ქალებიც-კი შეიპრიკა და კაცებიც. ქალი სიყვარულით უნდა წაყვეს ქმარსო. მე და ჩემა ქმარმა ჯვარის დაწერამდი არც-კი ვიცოდით, რა ხილი იყო სიყვარული. მარა ჯვარი რო დევიწერეთ, მერე, კიდეც შეგვიყვარდა ერთმანეთი და კიდეც ყველაფერი (ცოტა პაუზა). ჰე, ილბალია, ილბალი ყველაფერი! ერთხანს ძალიანს-კი ჯავროობდა გოჯასპირაი, მარა რო ვეფერი გახდა, მერე, მანაც დააჭრა ბაწარი. თამროს, თურმე, პირდაპირ უთქვამს გოჯასპირაიზა, თუ გერმანეს არ წავყევი, სხვას ქვეყანაზე არავის წავყვებიო.

ქეთო.—მისი ჭირიმე, მისი! ეი რომ არ გვყავდეს, რა ეშველებოდა ჩვენ გაჭივრებულ ოჯახს? ჯერ ღმერთი და, მერე, ეგია ჩვენი დამხმარე.

მარინე.—ყველაფრით კაი ქალია, ყველაფრით, მარა მაგისანაი სიყვარულის რაცხა აფერი მესმის! (დაამთქნარებს, ადგება). ახლა კი წავალ სახლში, თვარა ვახშამი გოუკეთებელი დამრჩება. (ქეთოც წამოდგება).

ქეთო!—ძალიანი მადლობელი ვარ, მარინე. ღმერთმა სამაგიერო პატივისცემა შენთვის გადამახდევიოს.

მარინე. —რის მადლობელი, ქალავ, რა გაგიკეთე? (მიდის. ქეთო ალაგემდის მიაცილებს და უკანვე დაბრუნდება).

ქეთო.—(მიუჯდება აკვანს და ბავშს დაცქერის). იძინე, იძინე, გენაცვალოს ჩემი თავი, ღმერთი მოსპობს და მოასირსვალებს, ვინც შენი თავი გამითვალა! (გზაზე გამოჩდება თამრო).

თამრო.—(გაფითრებულია. გზიდან). ქეთო, ქეთო, გერმანე მოდის,დაო, გერმანე!

ქეთო.—(წამოვარდება და თამროსკენ გარბის, აღტაცებით) ნენაია, ნენა, რას მეუბნები, მაგას, თამრო, სადაა მისი ჭირიმე, მიჩვენე, სადა? ღმერთო,რა კაი დღეი გაგვითენე დღეს! (უნდა გაქცევა, მარა თამრო აკავებს).

თამრო.—მოიცა, დაო, მოიცა! გერმანე ავათმყოფი მოყავთ, ძალიან ავათმყოფი! წუხელის შვალამეზე შეეტყო თედორეს, გერმანეს გამოსვლა და მაშინვე ურმით წასულიყო სადგურზე. მე მაშინ გავიგე, როცა ჩვენ ეზოსთან გამოაროონიეს. არც წერილი და არც დეპეშა აპოსგან არ მიმიღია... (შორიდან ურმის კრიჭინი მოისმის) აჰა, საცაა მოიყვანებენ კიდეც! აბა, ახლა ლოგინი, ქეთო, ლოგინი დავუგოთ!

ქეთო.—(შეშინებული) ნენაია, რა ვქნა, აწი? თამრო, გენაცვალე, მითხარი, რა დაემართა, ნეტაი, მისი ჭირიმე? ღმერთო,ნუ გვიზამ საშინელ საქმეს! (ფაცხაში შერბიან.ცოტა ხნის შემდეგ, თამრო გამორბის და მათ შესაგებებლათ გარბის. შემდეგ, გამორბის ქეთო, ხელში ცოცხი უკავია, ალაგესთან მიირბენს, გაიხდავს, შემდეგ, გამობრუნდება და აკვანთან მიირბენს. ჩუმათ ბავშს). გოგლი, გენაცვალე, ბიძიე მევიდა, შენი ბიძია! (უცეფ გაფითრდება). რაფერ შევხედო! რა, რავუთხრა?! ღმერთო!.. როგორ შევხედო... მე სამიწემ... როგორ?! (იქვე ჩაიკეცება და მწარეთ ქვითინებს, ურმის კრიჭინი თანდათან ახლოვდება. გამოჩდება თამრო. მორბის).

თამრო.—(გზიდან) ქეთო, ხო მზათაა ყველაფერი? (მიუახლოვდება) რა დაგემართა, დაი-

კო, რა გატირებს? (ხელს მოკიდებს და ააყენებს) სსუ, სსუ, გენაცვალე,—ნუ ტირი, თორე გერმანეზე ცუდათ იმოქმედებს!

ქეთო.—(ტირილით). მითხარი, თამრო, შენი ჭირიმე, მითხარი, რავქნა. მე მიწა გასახეთქელმა, რაფერ შევხდე, რავუთხრა, მითხარი?!

ქეთო.—(მოფერებით)დამშვიდდი, გენაცვალე, მან ყველაფერი იცის. თედორეს ყველაფერი უთქვამს მისთვის,—განა გერმანე თვითონ ვერ მიხვდება, რო შენ ცამდი მართალი ხარ? (შეყავს ფაცხაში. მოისმის მეურმის ხმა: „მოო, ხი!“ გამოჩდება ფერმკთალი, ავათმყოფი გერმანე დიდ საზამთრო პალტოში გახვეული. მხრებში პეტრე და თედორე უდგანან, ივანეს რაღაც ნივთები ფაცხაში შეაქვს, გერმანეს ხშირ-ხშირათ ახველებს).

გერმანე.—(ალაგესთან შეჩერდება, წუხილით.) მოიცათ, ძმანებო... მინდა ჩავისუნთქო ეს ჰაერი... მინდა გადავხედო ჩემს ეზოს... სახლ-კარს. ოხ, როგორ გაპარტახებულა ყველაფერი? სად არი ჩემი სახლი?.. სად არის ის ეზო, რომელიც დავტოვე?.. როგორ გაოხრებულა ყველაფერი? (ფაცხიდან გამორბიან თამრო და ქეთო).

სანდრო გურული.

(დასასრული იქნება.)

ნ. ბარათაშვილის

ნაშთის გადმოსვენების გამო.

ძნელი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ყოფილა ჩვენი საზოგადოება და მისი გონებრივი ავლა-დიდება იმ დროს, როცა ჩვენი სახელოვანი მგოსანი, ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა.მაშინდელმა ჩვენმა მოწინავე პირებმა ინდენი გამჭრიახობა, მამულიშვილობა და სიყვარული ვერ გამოიჩინეს ძვირფასი მგოსნისადმი, რო მისი გვამი განჯიდან სამშობლოში გადმოესვენებიათ. ამ სახით, ასრულდა მგოსნის გულის მწყვლელი წინაგძნობა, რომელიც მან ასე გამოთქვა:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის!
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის,—
შავი ყორანი გამითხრის საფლავს,
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით,
ღრიალით, მიწას მომაყრის!
ჩემთა ნათესავთ, გლოვისა ნაცვლად,
მივალალებენ სვავნი მყივარნი“.

სამოც წელიწადზე მეტი გავიდა მგოსნის გარდაცვალების შემდეგ და მხოლოთ მაშინ იგძნო ჩვენმა საზოგადოებამ უკვდავი მგოსნის ნაშთის გადმოსვენების საჭიროება. ეს საკითხი პირველათ აღიძრა წ. კ. გ. საზოგადოების მართველებაში. მმართველობამ საჭიროთ ცნა ბარათაშვილებს (მგოსნის ნათესავებს) ეთხოვათ უმაღლეს მთავრობისთვის, რო მას ნება მიეცა მათთვის ნაშთის გადმოსვენებისა განჯიდან თფილისში. საქმის წარმოებამ დიდხანს გასტანა და მხოლოთ 1893 წ. დაბოლოვდა ეს საქმე. წ. კ. გ. საზოგადოება შეუდგა საქმის სისრულეში მოყვანას: გამოაცხადა გაზეთებში, დანიშნა გადმოსვენების დრო და მოამზადა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. როცა ეს ამბავი გაიგო ხალხმა, საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში იწყეს მზადება და დეპუტატების არჩევა, რომლებიც უნდა ჩამოსულიყვენ თფილისში, დანიშნულ დღისთვის, რო ღირსეულათ მიგებებოდენ უკვდავი მგოსნის ნაშთის გადმოსვენების დროს.

განჯაში გამგზავრება, ნაშთის პოვნა და გადმოსვენება წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ მიანდო სამ პირს: პოლკ. გ. ორბელიანს, ალ. ჭყონიას და მე. სალამოს ჟამი იყო, როცა განჯაში ჩავედით. ო. გ. ორბელიანმა ინახულა განჯის გუბერნატორი და გამოუცხადა ჩვენი ჩასვლის მიზანი. მეორე დღეს, დილით, მივედით ეკლესიის გალავანში, სადაც დასაფლავებული იყო მგოსანი. ახლა პირველი ჩვენი საზრუნველი ის იყო, რო გვენახა სწორეთ ის ადგილი, სადაც მგოსანი იყო დასაფლავებული და საიდანც საფლავის პატარა მარმარილოს ქვა აეღოთ და ეკლესიაში შეენახათ. ხოლო ამის მიზეზათ ის გამხდარიყო, რომ ეკლესიის გალავანში შემოზღუდული არ ყოფი-

ლა და ხალხს სასაფლავოზე პატარა სასიარულო გზა გაეკეთებია. ბილიკი, თითქმის საფლავზე გადადიოდა. ამიტომაც, ღვდელს ქვა აეღო და ეკლესიაში შეეტანა. ღვდელმა გვიჩვენა სწორეთ ის ადგილი, საიდანაც აეღო ქვა. შემდეგ ამისა, ნაქირავებმა მუშებმა იწყეს საფლავის გათხრა. გალავანში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ყველანი მოუთმელნლათ მოველოდით მუშაობის შედეგს. დიდი შრომის შემდეგ, წავატყდით კუბოს და იმედი მოგვეცა, რო სასურველი საფლავი ვიპოვეთ. მარა კუბოში აღმოჩდა აფიცრის გვამი. ჩვენ წინათვე ვიცოდით, რო განჯის სასფლავოზე მგოსნის ახლობელი ნათესავი აფიცერი იყო დამარხული. ამოვიღეთ კუბო და განვაგძეთ შიწის გათხრა. მარა უფრო ფართოდ და ორთავ მხრით, რათგანაც იმედი მოგვეცა, რო მგოსნის საფლავიც იქვე გვერდით უნდა ყოფილიყო. მარა, რათგან მგოსნის საფლავის ძებნა დიდხანს გაგძელდა, თფილისში განსვენებული ილ. ჭავჭავაძის სახელზე დეპეშა გავგზავნეთ და ეს ამბავი ვაცნობეთ.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა გამოჩდა მეორე საფლავი. კუბოს ფიცრები უფრო დაზიანებული იყო. ამოვწმინდეთ საფლავი, გავშინჯეთ გულმოდგინეთ და დავრწმუნდით, რომ ის იყო ნამდვილათ მგოსნის საფლავი, რათგანაც განსვენებული შესაფერი ფორმის ტანისამოსში ყოფილა დამარხული და სერთუკის საყელო თვისი სირმებით კარგათ იყო დაცული. გარდა ამისა, გავშინჯეთ დასაფლავებულის ფეხის ძვლები, რომლებსაც დაზიანების ნიშნები ეტყობოდა. ამოვიღეთ ყველაფერი, რაც საფლავში ვიპოვეთ და ჩავაწყვეთ შვენიერ კუბოში, რომელიც თან წავიღეთ თფილისიდან. შემდეგ ამისა, მუხლი მოვიყარეთ და მოწიწებით ვემთხვიეთ კუბოს. საფლავის პოვნა დაუყონებლივ ვაცნობეთ დეპეშით თფილისში.

ღვდელმა გადიხადა მცირე პანაშვიდი და, შემდეგ, კუბო შესაძლო პატივისცემით გადმოვიტანეთ რკინის გზის სადგურზე, შევიტანეთ საკუთარ სამგლოვიაროთ მორთულ ვაგონში და დანიშნულ დროს წამოვედით.

როცა მეორე დღეს, დილით თფილისის სადგურს მივუახლოვდით, დავინახეთ, რო თელი მიდამო გაჭედილი იყო ხალხით—ქალით და კაცით. გაჩერდა მატარებელი... ამ დროს ხალხმა მუხლი მოიყარა. წინ მოგვეგებენ განსვენებულნი ილ. ჭავჭავაძე, აკაკი და სხვა საპატიონი. ასწიეს კუბო და გამოიტანეს სადგურის წინ მიდვრათ. აქ საღვდელოებამ მცირე პანაშვიდი გადიხადა, შემდეგ, კუბო წაასვენეს მანდილოსნებმა და ქალიშვილებმა დიდუბის ეკლესიაში. წირვისა და დასაფლავების დროს, ბევრი შესანიშნავი სიტყვა იყო წარმოთქმული.

ამ სახით შეასრულა ჩვენმა ხალხმა თვისი საღვთო ვალდებულობა უკვდავი მგოსნის—ნ. ბარათაშვილის ნაშთის წინაშე.

გ. იოსელიანი.

სხვა და სხვა ამბავი.

ედისონს ახალი მანქანა გამოუგონია. ამ მანქანის შემწეობით, თურმე, ისეთს ელეკტრონის კედლებს უშვებენ, რომლის გადალმა გადასვლა ყოვლათ შეუძლებელია. და, თუ ვინმემ გაბედა გადაბიჯება დედამიწიო, თუ ჰაერით, უმალ სული ხდება. ედისონს გამოუგონია აგრ ეთვე ელეკტრონის ყუმბარები, რომლის შემწეობით ვერც ერთი ჰაეროპლანი, რაც უნდა მაღლა არ იყოს წასული, ვერ უძლებს. ედისონის აზრით, ასეთი გამოგონება ომს მოსპობსო. ედისონს გარდაწყვეტილი აქვს, ეს გამოგონება, ომის გათავების შემდეგ, გამოაქვეყნოს.

—

გერმანეთს ნეიტრალ სახელმწიფოებში თავის ელჩებისთვის შემდეგი ზავის პირობები გაუგზავნია: დაპყრობილ ბელგეთს და საფრ. ნგეთს ვათავისუფლებთ, ხოლო გერმანეთს აფრიკაში თვისი კოლონიები დაუბრუნდესო. სულ სხვა მოთხოვნილებაა რუსეთისადმი: მას უხდა ჩამოართვას ლიტვა, კურლიანდია, მდ. ვისლას მხარის გუბერნიები და დაარსოს პოლონეთის სამეფო, რომელიც, სამხედროს მხრით, დამოკიდებული იქნება გერმანეთზე. ამ რიგათ, გერმანეთის ზავის პროეკტი მხოლოთ რუსეთის დაქუცმაცებას ცთილობს.

—

„კოლონიშე ცაიტუნგ“-ი გადმოგვცემს: გერმ-

ანეთის კანცლერმა, მოკავშირეთა მიერ უილსონის წინადადებაზე უარის განცხადების გამო, თქვა: „გერმანეთი სრული სიმშვიდით ელის მოკავშირეთა ნებიჯს. მან შეკუმშული მუშტი გაშალა და მტრებს გაუწოდა. მარა, თუ—კი მოპირდაპირენი გაწვდილ ხელს არ ჩამოართმევენ, თვითონვე იქნებიან შედეგის პასუხისმგებელნი. მათ კვლავ უნდა აირჩიონ, ომი უნდათ, თუ ზავი“.

—

საახალწლო ნუმერში გერმანულ გაზეთებს გაუცხადებიათ: თუ სხვა გზა არ დაგვჩა, ვიბძოლებთ იმ დრომდი, ვიდრე თელ ძალღონისგან არ დავიცლებითო!

—

19 დეკემბერს, პეტროვის ხიდთან, წყალში ნახეს გრიგოლ რასპუტინის გვამი. მას ორი ჭრილობა აქვს: გულზე და შუბლზე. სახე დამახინჯებულია, ფეხები თოკით არი შეკრული, საზამთრო ქურქს ნახევარი საყელო მოგლეჯილი აქვს. გვამი უბრალო კუბოში ჩადვეს და ჯანდარმთა გაძლიერებული რაზმი გააყოლეს.

—

თავადი ევგენი ტრუბეცკოი „რუსკოე სლოვოში“ ამტკიცებს, რო გამოსვლა დღეინდელ სასურსათოკრი ზისიდან მხოლოთ ფართო რეკვიზიციით შეიძლება. ტრუბეცკოის აზრით, სუსტია საბუთები უკიდურესი კონსერვატორებისა, რომელთაც სახელმწიფოს შეჭრა ეკანომიურ ურთიერთობაში სოციალიზმის გამარჯვებათ მიაჩნიათ. სოციალიზმის ნაწილობრივი გახორციელება თავად ტრუბეცკოის პატრიოტულ ვალათ მიაჩნია. მინინის ლოზუნგი: „დავაგირავოთ ჩვენი ცოლები და შვილებიო“,—ავტორს უაღრეს სოციალისტურ ლოზუნგათ მიაჩნია.

—

მწერალი ია ეკალაძე ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნებს ახალ 5 მოქმედებიან დრამას, მოძრაობის დროიდან. დრამ-ს უმთავრესი მოქმედია ერთი უდიდესი ქართველთაგანი და მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი ქართველი ინტელიგენცია.

კრიტიკა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო*)

დამჭროლა ჭარმან სასტიკმან,
თან წარმიტაცა ყვავილი...
ნ. ბარათაშვილი.

(წერილი პირველი**)

მე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ახალი ქართული პოეზია, იმდენათ თვალსაჩინოთ გაიზარდა, რო თავისუფლათ, თამამათ წამოაყენა ნიჭითა და კაცთ-მოყვარე გძნობებით სავსე პოეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ეს ამბავი დიდი ყურადღების ღირსია და აქვე მსურს ავნიშნო ის აშკარა და დაუფარავი გარემოება, რო მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი

*) 1896 და 1897 წ. წ. ჟურნალ „კვალში“ ისტამბებოდა ჩემი კრიტიკული განხილვა ნ. ბარათაშვილის ლირიკისა. მარა მაშინ დაუსტამბავი დამჩა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, უკანასკნელი, მეოთხე წერილი, სადაც განხილულია პოემა ,,ბედი ქართლისა.''

დღეს, რაკი საჭიროებამაც მოიტანა, გვსურს ჟურნალ ,,ცხოვრების'' პატივცემულ მკითხველებს წარვუდგინოთ სრულიათ დამთავრებული წერილები, თავიდანვე ამ დიად მგოსანზე.

ავტ.

**) ქართ. შ. წ.-კით. გამავრც. საზოგადოების მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემას, დიდი-ხანია, ვუცდიდით და შარშან, როგორც იქნა, ვეღირსეთ იმის დამთავრებას. ჟურნალ ,,კვალში'' (№№ 45 48, 1895 წ.) დასტამბული იყო ბიბლიოგრაფული განხილვა ამ გამოცემისა და უმთავრესი შეცთომებიც ნაჩვენები გახლდათ. ასე რომ, ამ მხრით, ჩვენ სათქმელიც აღარა გვაქს რა. ჩვენც სახწუხაროთ დაგვირჩა, რო ბ-ნ ი. მეუნარგიას ნაშრომი ,,ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილსა'' ამ გამოცემაში არ არი მოქცეული.

საზოგადოთ, ამ ბოლო დროს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიიპყრო დიდი ყურათღება და მისმა პოეზიამ აღძრა ცხოველი ინტერესი ჩვენ საზოგადოებასა და ლიტერატურაში, მაგალითად. ბ. ბ. ვეზირიშვილმა და, -მა ზოგადი სიტყვებით დაახასიათეს ბარათაშვილის პოეზია. მარა ამ პატივცემულმა პირებმა სერიოზული კვლევა, განხილვა, ძიება და ახსნა ნ. ბარათაშვილის ლირიკის განსაკუთრებულ, ორგინალურ თვისებათა და თვით შგოსნის შეხედულებისა, აშკარათ უკუაგდეს.

ნაცვლათ ამისა, იგინი იმეორებენ რუსეთში ათასჯერ გამოთქმულ სიტყვებს და პოეზიის გამომხ ვითომ და უტყუარ ნიშნებს, რომელნიც იმდენა

ახალი პოეზიის ფორმა და შინაარსი მხოლოთ წმინდა ლირიკულია. ლირიკა, პოეზიის სხვა ფორმასთან შედარებით, არა თუ პირველ ადგილსა და ზე-გავლენას იჭერს, არამედ გასაკუთრებულ მხოლოობით მოვლინებას წარმოადგენს მაშინდელ პოეტთა აზრისა და გძნობების გამოსახატავათ. ეს ამბავი ცხოვრებისა და დროის ნიშანია და ამპირმშო შვილზე ორიოდე სიტყვის თქმა უადგილოთ არ მიგვაჩნია.

მოგეხსენებათ, ლირიკულ პოეზიაში ადამიანის ყურათღებას იზიდავს და უტკბობს მას სმენას მხოლოთ ის მარტივათ, ძალ-დაუტანებლათ გამოთქმული, გულწრფელათ და ღრმათ გემოხატული გძნობა, რომლიც წარმოუშობავს და გამოუწვევია სამოქმედოთ თვით მგოსნის სულსა დაგულში უტყვი ბუნების, თუ ცხოვრების რომელსამე მოვლინებას, ამბავს. დაქაც, უპირატებობა მხოლოთ გძნობის ჩაბეჭდილების მარტივათ მიღებას და შეთვისებას როდი უჭირავს.

საქმე ის არი, რო მგოსანი თვით აღნიშნულ ჩაბეჭდილებას და გძნობებს თვისი საკუთარი ბუნების შინაგანი, სულიერი ძალებით, ისე ძლიერათ ამუშავებს, არკვევს და თვისი ჩანგის მომხიბვლელათ ერთი ძლიერი-ჩამოკვრით გამოხატავს, რო მეორე პირის, მსმენელის, თუ მკითხველის გულშიაც სწორეთ შესაბამს, შესაფერ გძნობებს წარმოშობავს და გააცხოველებს. მაგალითად, სიცოცხლის მომგვრელი, მაისის დილის მოშჯადოებელი სიშვენიერის და მაღალი მთის ბორცვებიდან გაფენილი, ზურმუხტის ფერ მიდორ-ველის ცქერით დატკბობა; ზღვაში მომცურავ გემის მაღლა ბანიდან წარმტაცი ზვირთთა დუღილით, ქაფის უცნაურათ ტრიალით თვალ მოუშორებლივ გართობა და უძვირფასესი არსების, ჭირისა და ლხინის შვაზე გამყოფი მეგობრის სიყვარული ბევრს, ძლიერ ბევრს შეუძლია. მარა ბევრს-კი არა, ძლიერ ცოტას, მხოლოთ რამდენსამე რჩეულს შეუძლია ამ ჩაბეჭდილებათა და გძნობათა თავის საკუთარ გულსა და მკერდში, სისხლათ და ხორცათ ღრმათ შეგნება, ძლიერათ დამუშავება და იმათი ისეთნაირათ გამოხატვა და გადაქმნა, რო სხვებსაც, სხვა პირებსაც აგძნობინონ გამოთქმული გძნობის ძლიერება და თვისება. აი, სწორეთ აქ არი თელი შინაარსი, თელი ძალ-ღონე და პათოსიც ლირიკული პოეზიისა.

მაშასადამე, თუ მგოსანი ისეთი ლექსის ძლიერებით ჩამოასხამს და გამოხატავს სულიერი მდგომარეობის დაფარულ ხმებს, სახელდობ ვთქვათ, მწუხარებას, თუ მხიარულებას, რო მკითხველსაც აგძნობიებს და გააგებიებს ამ მწუხარვბას, ან მხიარულების ძალ-ღონეს, ზედ მოქმედებას —ამით ლირიკოსი, ჩვენი აზრით, სრულიათ ასრულებს თვისი მადლიანი მუზის დანიშნულებას და მოწოდებას. ამ მხრით, ლირიკა თითქმის მუსიკით ხმების გამოთქმას უდრის და მასაც მუსიკასავით ადამიანის გულის სიღრმიდან სულის შემგუბებელი, ან გამამხიარულებელი სიტყვები ამოაქვს.

მარა ამ საგანს მგოსანი მხოლოთ ორი გზით მიწვდება. სახელდობ იმით, რო გამოთქვამს, გამოხატავს ასეთი, თუ ისეთი ფორმით მარტო იმ გძნობას, იმ სულიერ მდგომარეობას, რომელიც მის გულ-მკერდს ცეცხლის ალივით

სიათებენ და აფასებენ ბარათაშვილის პოეზიას, რამდენათაც ყველა, რომელი და ვინც გინდათ აიღოთ, პოეტის ნაწარმოები. ლირიკა-ტრფობა-სიყვარული ქალისა, მეგობრისა, ბუნებისა, სიშვენიერისა, სამშობლო ქვეყნისადმი,—ერთი მიბძანეთ,---ვისი პოეზია გინდა, რომ არ დახასიათდეს ამ საზოგადო ნიშნებით, არ მოთავსდეს ამ „ახალ მოდის“ უსაზღვრო და ბუნდოვან „კრიტიკის“ ფორმულების ფარგალში, რომელშიაც თითოულ მგოსანს შეაქვს თვისი წვლილი. თქვენი შრომა, ვითარცა კრიტიკოსისა, მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფორმულებს პოეტის ნაწარმოებიდან ლექსები ამორჩევით შეუფარდოთ და... მორჩა.

ზემო დასახელებული კრიტიკოსებიც ასე იქცევიან, ხოლო უკანასკნელი იმათგანი, ბ-ნი:. ვერ ითმენს და თავის საკუთარ ფილოსოფიასაც უმატებს: ,,დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფი ტოლსტოის „სულის კვეთება'',ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანის საცემლათ და ბევრი სხვა ამისთანა, განა იმას არ მოწმობს, რო დღეინდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას (?!) ფუძე დაეძრა და თვით თალიც (!!!) მთელის შენობისა გაირღვა და ლომის გადმოქცევას?!! (,, ივერია'', №77, 1892 წ. ავტორის მართლწერას ხელუხლებლათ ვტოვებთ. ხომ-ლი.)აბა,მკთხველო ხომ უყურებ, თურმე, რა ამბებია ქვეყნიერობაზე!..

ავტორი.

შემოხვევია, ქენჯნის და აღელვებს, ან დახატავს, ძლიერი ლექსებით გადმოგვცემს იმ ამბებს, იმ მოვლინებას, რომელიც გარე-შემორტყმულ ბუნებასა, თუ ცხოვრებაში მომხდარა და თვით პოეტის საკუთარი სულიერ აგებულებასა და მდგომარეობაზე თვალსაჩინოთ უმოქმედია. აქ მგოსანი—ლირიკოსი დაწერს ძლიერი გძნობით ჩამოსხმულს, გულის სიღრმიდან ამოღებულ ლექსს, რომლის თელი შინაარსი, სიღრმე სიგანე, შოთასი არ იყოს, მხოლოთ მოკლეთ ითქმის და მეტათ მარტივი, სულ უბრალო სიტყვით გამოიხატება. და ეს მგოსნის მიერ საკუთარი სისხლით და ორი-სამი სიტყვით ჩამოსხმული გძნობა, ისეთი ძლიერი და ამაჟრჟოლებელი კილოთი და მუსიკით იქ ნება გამოხატული, რო მკითხველი მოიკვეთება, აღიძვრის და ძალუნებურათ ამ გძნობას დაემორჩილება...

აქ უნდა შევნიშნო, რო ლირიკას იწვევს და ასაზდოებს თვით ცხოვრების, ფართე საზოგადების ასეთი, თუ ისეთი მდგომარეობა. ნიჭიერ ლირიკოსთა ამღელვარებულ გულს მაშინ მოედება ცეცხლის ალი და იწვის, როცა საზოგადოებას, ხალხს, ან ამ ხალხის რომელსამე კულტურულ ნაწილს არ შეუძლია, არ ძალ-უძს, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, ისაუბროს და იკამათოს გარკვევით, ცხადათ და გულ ახდილათ იმ ღრმა, მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომელნიც უხილავათ იწვევენ და წარმოშობენ ხოლმე მათში ამა, თუ იმა გძნობებს და სულის მიზიდულებათა...

შესაძლებელია, რასაკვირველია, სხვა დროსაც, სრულიათ მშვიდობიანს და ბედნიერი ცხოვრების ჟამსაც გამოჩდენ დიდი ნიჭის ლირიკოსები. გენიოსების, თვით არსი ნიჭის ლირიკოსთა წარმოშობა ისტორიის ფაქტია და ჩვენი საზოგადო აზრის გამოხატულების სიმართლეს და ჭეშმარიტებას არათუ არყევს, უფროც ამტკიცებს და აშკარავებს. რათქმა უნდა, ის უფრო შესაძლებელია, რო სხვა დროს, ნიჭითა და შეძლებულობით სუსტი ლირიკოსები გამოვიდენ ლიტერატურაში. მარა ეს უკანასკნელნი გადამეტებით და თითქმის ყოველთვის ზემოთ აღნიშნულ დროში მოღვაწე სახელოვან ლირიკოსებს ბაძავენ, იმათი პოეზიის ტეხნიკურ მხარეს ითვისებენ და ბრმა ინერციის ძალით წინანდელთა ძლიერ ხმას და გძნობების გამოთქმას ბანს აძლევენ და ინსტინკტურათ განაგძობენ.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს გარემოება ლირიკული პოეზიის წარმატებას მაინცა და მაინც ვერაფერს აკლებს. ცხოვრების და გვარათ ლირიკასაც ეტყობა ზდა და თანდა-თანობით წარმატება. იმასაც ეტყობა თვისი შინაარსითა და ხასიათით კაცთა გძნობა-გონების გაფაქიზება და გაკეთილშობილება.

ლირიკულ ნაწარმოებთა შინაარსის უმთავრეს საფუძველს ადამიანთა გულის მხიარულება და მწუხარება შეადგენს. რამდენათაც ცხოვრებაში იზდებოდა ადამიანისადმი თანაგძნობა, იმდენათ ლირიკაც მეტს ყურათღებას აქცევდა, უმთავრესათ, კაცის სულიერ მდგომარეობას: მწუხარებასა და მხიარულებას, გულით აღტაცებასა და ოხვრას. წინათ, ძველ დროში, ყოფილი ლირიკა, რომელიც მომეტებულათ ომეგისა, ბძოლათა საშინელი დახატვით ართობდა ველური კაცის ინსტინკტებს, რო შევადაროთ ახალი, ამ ჩვენი დროის ლირიკას, სადაც სისხლისა და ადამიანთა ჟლეტის მაგიერათ, იხატება ადამიანის სულის კეთილ-შობილური, გაწმენდილი მოძრაობანი, რომელნიც მკითველთა გძნობას ზდიან „ტვირთთამძიმეთა და მაშვრალთ მხსნელათ“--დავინახავთ, რო კაცის აღსაზდელათ ლირიკასაც წარმატებით უვლია, ახალი სფერა მოუნახავს და ახალ ნიაადიგზე დამდგარა. და, რამდენათაც გძნობა-გონებს შეძლებულობით მძლავრათ მომქმედნი შებმულან ლიტერატურის სამოქალაქო დანიშნულების მძიმე უღელში და იღწიან ცხოვრებაში, იმდენათ იზდება, საზოგადოთ, აზრის ნაყოფიერი ძლევა-მოსილობა და კრიტიკის შეუპოვარს და ღრმა, პირუთვნელ მსჯელობასაც აქ ფასი ეძლევა. მარა, რა გაეწყობა, თუ ცხოვრება ყოველთვის ხელს არ უწყობდა ლირიკის ღრმათ და მადლიანათ გაფართოებას და დიდსულოვან, სახელოვან მგოსნებსაც. კი „გულს უვსებდა წვეთ-წვეთად ნაღველით მწუხარებითა“. წყევლა-კრულვით და შეჩვენებით იხსენებდენ იგინი ადამიანთა სადგურს, ქვეყნიერობას...

ინგლისში, მაგალითად, მე-XVII საუკუნეში რევოლიუციის ქირიშხლის ჩავარდნას, ლოღიკურათ მოყვა ცხოვრების არეულ-დარეული და გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელიც თავის მხრით, შველიდა და ხელს უწყობდა ისეთ მგოსანთა და მწერალთა გამოჩენას, რომელთაც მხოლოთ ჩაბეჭდილებასა და გძნობების ვარჯიშზე შეეჩერებიათ თვისი შემოქმედობითი ტალანტის ძალ-ღონე. თუმცა-კი, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ვარჯიში საიდუმლოთ, ფარულათ უმზადებდა ვრცელ ნიადაგს XVIII საუკუნის ლიტერატურულს და თითქმის ფილოსოფიურ მოძრაობასაც. დიდი რევოლიუციის ნაყოფიერ გრიგალს თლად ევროპაში პირველათ მოყვა რეაქცია, რომელმაც ლიტერატურას აზრი აუბნია ᲯᲞᲘᲠᲘ წარსულისკენ მიუბრუნა... პირველ ხარისხოვან მგოსანთა შემოქმედობითი ტალანტის შეძლებულობა თელი თვისი თვისებითა და სიღრმით მაღლა, ღრუბლებს ზევით, ავარდა და იქიდან ზიზღით დაუწყო ყურება ბედკრულ კაცობრიობის ცხოვრების გავლილს გზას. პოლოს, რასაკვირველია, ეს გზის აქცევა და რეაქციაც არ დარჩენილა უმნიშვნელოთ და უსარგებლოთ, საზოგადოთ, აზრის ზდისა და წარმატებისთვის...

როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთშიაც ამ დროს იბადებიან ისეთი ლირიკოსნი ᲯᲞᲘᲠᲘ სხვა ᲯᲞᲘᲠᲘ სხვა გვარი სწავლა-მოძღვრების მიმდევარი მწერლები, რომელნიც გძნობისა და შემოქმედობის ძალ-ღონით შექნილ სარწმუნოებაზე ცთილობდენ „სიკვდილისა და ჯოჯოხეთის“ შვილთა ცხოვრების მომართვას... ესენიც განზე გადგომიან... უღვთოთა ზრახვასა სოფლისასა და განუსაზღვრელი ზიზღით უცქერიან საქაო ცხოვრებას.

ეგევე ამბავი მოხდა გერმანიაში და გაძლიერდა, ნამეტურ მას შემდეგ, რაც ნაპოლეონ I აოხრებას გადურჩა ეს ქვეყანა და ეროვნული დამოუკიდებლობის და ადამიანური ღირსების დაცვის გძნობების ზვირთთა დაიწყეს ბძოლა და მოძრაობა. თუმცა უფრო შეუმჩნევლათ, მარა მაინც თითქმის იგივე ამბავი მოყვა რუსეთში, ალექსანდრე I მეფობის დროს და დეკაბრისტების მოძრაობას, როცა ლირიკულ გძნობაზე დამყარებული მაშინდელი თაობა დროებით ამუშავდა და მალე დასუსტდა კიდეც...

ᲮᲝᲛᲚᲔᲚᲘ.

(შემდეგი იქნება.)

მიმოხილვა.

I.

რაღაც დიადი და საოცრებით სავსე დროა თელი ქართლოსიანთა ერისთვის ეს უკანასკნელი ათი, თორმეტი წელიწადი, რომელმაც ფრიად ღრმა კვალი გაავლო ჩვენ ცხოვრებას.

არა დროს, არც წარსულსა, არც აწმყო ისტორიაში არ ყოფილა ასეთი დიდი და მდიდარი, ნაყოფიერი ეპოქა ჩვენი ტურფა ქვეყნისა და ხალხისთვის და, ამიტომ, მას თელი ჩვენი გულის ყური უნდა ვათხოვოთ და ღრმათ ჩავუკვირდეთ ამ დროის ვითარებას, გავიგოთ მისი დაფარული აზრი და ფილოსოფია.

II.

1904 წელს ატყდა რუსეთსა და იაპონეთს შორის დიადი ომი...

ამ ფაკტმა სწორეთ იგივე აზიის ხალხები ფეხზე დააყენა და ამოძრავა: ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი და ოსმალეთი. აი, ამ ომში ქართველობამაც მიიღო მხურვალე მონაწილობა და იგიც ძლიერათ ამოძრავდა...

ᲯᲔᲠ ეს საშინელი ომიც არ გათავებულიყო და... შინ რუსეთსა და საქართველოს არე-მარეზე ძლიერათ იხეთქა, ასე წოდებულმა, გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც — ვიტყვი ოტტო ბაუერის სიტყვებით, ხასიათი ქონდა რეფორმაციისაც და დიდი

რევოლიუციისაც. ამ მოძრაობას დემოკრატია უნდა გაეთავისუფლებია საეკლესიო ავტორიტეტისგან და პოლიტიკური აბსოლიუტიზმისგან.

მარა .. ეს დიდი მოძრაობაც საქვეყნოთ დამარცხდა. არ გამოვუდგებით აქ ამ მოძრაობის მიზეზების კვლევას. ამისთვის არც ადგილი გვაქვს, არც დრო.

ვიტყვი მხოლოთ, რო ქართველი დემოკრატია ამ დამარცხებამ უფროც გამოაფხიზლა და ალესა. ქართველი დემოკრატია მოედვა მშობელი ქვეყნის არე—მარეს, გაიწია კასპიის ზღვის პირათ და ამ ზღვის იქით მდებარე ქვეყნებშიაც, სპარსეთისკენაც და კავკასიის ჩრდილოეთისკენაც, მოედვა შავი ზღვის ნაპირებსაც. ამავე დროს, საქართველო რკინის გზით შეუერთდა რუსეთს, სპარსეთსაც, დასავლეთის საქართველო და ქართლიც შეუერთდა მდიდარ კახეთს.

III

1883 წელს, ბაქოსკენ გაყვანილმა რკინის გზამ შავი ზღვა შეუერთა ხო კასპიის ზღვას. როგორც ეს გარემოება შეიქნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდათ დამაკავშირებელ გზათ და ხიდათ, სწორეთ ეგევე ამბავი გამეორდა ახლაც. საშინელი ომიანობის წინათ, ჩვენი თვალის წინ, ქართველი ერის ფხიზელი შვილები, რომელთაც სიცოცხლის და დიდი სამერმისო ენერგიის ცეცხლი ამოძრავებდა, მხნეთ გაყვა—გამოყვა ამ გზებს და ამ დიდსა და ვრცელს არე—მარეზე მოფინა ქართული ენა, ქართული წიგნობრობა, მწერლობა, თეატრი, აღება—მიცემობა, მრეწველობა, ერთი სიტყვით, ქართული კულტურა.

ამ კულტურის ცოცხალი მატარებელია ქართული სულ ახალგაზდა ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რომელთა ინტერესების სულგძელათ სამსახური და ენერგიული მხარის დაჭერა შეადგენს ჩვენი ინტელიგენციის და მწერლობის მოღვაწეობას...

IV.

ატყდა ეს საშინელი, დიადი საერთაშორისო ომიც... უცილობელი ფაკტია, რო დემოკრატიას, რომელიც გაბმულია შეუსვენებლათ დიდათ დიდ სამუშაო საქმეში,

ამ უშველებელი ომიანობის წინა დღით, გაზეთები ხმამაღლა ყვიროდენ, რომ ომი აუცილებელიაო და დემოკრატია-კი სრულიათ ინდეფერენტულათ, გულ აცრუებით შეყურებდა ამ ამბავს, თითქო მის არც შეეხება ეს ამბავიო.

ომიც, თითქო ზეციდან მეხი ჩამოვარდაო, სრულიათ მოულოდნელათ მოხდა. ეს ამბავი ყველას გაუკვიდა. ყველამ პირი დააღო, რომ ასეთი უშველებელი ქარიშხალი, ასე მოულოდნელათ ამოვარდა და... შეიძრა ქვეყნიერებაც. მაშინვე წინასწარმეტყველებაც დაიწყეს. აი, სამს თვეში, ან დიდი, დიდი ექვს თვეში გათავდება ეს ომიო. მარა „გაპლუტდენ“ ეს რძე ნაწყენნი მეცნიერნიც... ის—კი არ იცოდენ ამ ვაჟბატონებმა, რომ ასეთი უშველებელი ერთმანეთზე დატაკება, როგორც ახლა ხდება, ჩვენი თვალის წინ, შესაძლებელია, ძალიან დიდ ხანსაც გასტანოს და, ვინ იცის, ქვეყნიერების კულტურაც-კი შეიწიროს... და ასეც ხდება.

სალდათობას თავდახწეული, ტყეთ გავარდნილი ყმაწვილკაცობა, ძალაუნებურათ ყაჩაღურ ცხოვრებას დაადგა და დაუწყო უპატრონო ქვეყანას ცარცვა და გლეჯა.

მარა ამ უშველებელი ომიანობის დროსვე მოხდა ერთი უშესანიშნავესი ამბავი, რომელმაც ძალიან გამოაფხიზლა ქართველობა, განურჩევლათ სარწმუნოებისა და მიმართულებისა.

V.

რუსეთის ხმალმა დაიპყრო ძველი საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც ოთხი საუკუნე ოსმალეთს ეჭირა ხელში და მისამედი ქართველობა იქ მამადის რჯულს აღიარებდა. ჩვენთვის ძველმდი დაკარგული აჭარა და ლაზისტანი, დღეს შემოგვიერთდა სულით და გულით და მზათ ვართ ერთმანეთის ჭირი და ლხინი შვაზე გავიყოთ.

რუსეთის ხმალმა დაიპყრო აზრუმის მხარე და თლათ ტრაპიზონის არე—მარენი. იმ წამსვე დაიწყეს რკინის გზის ლიანდაგის დაგება არზრუმისა და ტრაპიზონისკენ. ვლადიკავკაზის რკინის გზის ლიანდაგიდან გადმოა ტარეს ლიანდაგი აქითა მხარისკენ ტულაფსესთან და, ამნაირათ, მეორე რკინის გზის ლიანდაგით რუსეთი შეუერთდება ამიერ კავკასის რკინი გზას.

ამ რკინის გზებზე ქართველობა მოედვა სამუშაოთ და იქ, საცა დიდი ხანია, დავიწყებული იყო ქართული ენა, დღეს გესმით მკვდრეთით აღმდგარი ცოცხალი ქართული ენაც, ქართული მხიარული სიმღერა და გალობა, ქართული სიცილ—ხარხარი და გართობაც. თვალს არც—კი ჯერა ნახული და გაგონილი... ძველ ლაზისტანის ქალაქებსა და დაბებში იმართება ქართული წარმოდგენა, მაგალითად, ტრაპიზონში, იმერეთის გათქმული მეფის, სოლომონ II საფლავზე, წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს და ქართული გალობა აღკბობდა ყურთა სმენას. ამ ახლათ დაპყრობილ ქალაქების კენ მიდის ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა და დღეს და გადმოდის ქართველთა სიმკვირცხლე და გულუხვობა...

ქართველების ასეთი წარმატებითი მოძრაობა დიდათ საიმედო სიცოცხლის ნიშანია და ქართული მწერლობის წმიდა ვალდებულობაა, გაამხნეოს ქართველი კაცი, უჩვენოს მას ყოველიფერი სასარგებლო და ქვეყნისთვის გამოსადეგი საქმე, რო ჩვენმა მოძმემ ფთა ღონივრათ გაშალოს, გული გაიმხნეოს და ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს.

VI.

ბუნებას ჩვენი ქვეყანა ყოველიფერით ძალიან უხვათ დაუჯილდოებია. აქაური მიწის ნიადაგი მდიდარია და დიდათ ნაყოფიერი, რომელსაც რწყავენ უთვალავი გემრიელი თევზებით სავსე მდინარენი. აღმოსავლეთით და დასავლეთით არტყია თეთრი (კასპიის) და შავი ზღვა. აქ ხარობს და ყვავის მრავალგვარი ჯიშის ყურძენი, ლეღვი, ბროწეული, კომში, ატამი, ზეთის ხილი, ლიმონი და ფორთოხალი, ყავის ხე და ჩაის ბუჩქი, ტყეთ იზდება ბზა და დაფნა. ამ მხრით, ჩვენი დალოცვილი ქვეყანა ინდოეთის და იტალიის ქვეყნებს წააგავს. მერე, რა სხვა და სხვა ობის, რა კონტრასტობით შემკული ქვეყანაა ეს წარმტაცი, წმინდა ედემის მსგავსი ქვეყანა... აქ არი ადგილები, საცა თელი წლის განმავლობაში აუღებელი თოვლი ძევს, არის ალაგები, რომელნიც აფრიკის ქვიშიან მიდვრებს მოგაგონებთ.

ასეთი მრავალგვარობით, მრავალფეროვანობით აყვავებულ ქვეყნის შვაგულ მიწაშიაც გასაოცარი სიმდიდრე მარხია. აქ არი ნავოის უმდიდრესი წყაროები, შავი-ქვის (მანგანეზის) უმდიდრესი მადნები თელ დედამიწის ზურგზე, ქვანახშირი და სპილენძი, რკინა, ოქრო და ვეცხლი, გიშერი და ტყვია, გოგირდი, ბარიტი, მთის სანთელი და მიწის ყაჭი (აზბესტი), სინგური (სურიკი) და ოხრა, ათასნაირი სამკურნალო და მადნეული წყლებიც...

მტკვრის, რიონის, ჭოროხის და ენგურის მდიდარი ჭალები ისეთ ნიადაგს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია უმაღლესი და უმდიდრესი ინტენსიური რაციონალური მეურნობის აყვავება, წმინდა ევროპული მუშაობის გაჩაღება.

ვინც ბძნულათ გადაავლებს თვალს ამ მდიდარ, კლასიკურ ქვეყანას, სადაც ჯადოსნურათ შეზავებულა ჰავა და ნიადაგი, სადაც მარხია აუარებელი სიმდიდრე და საგანძური, იგი, უეჭველია, გაიმსჭვალება იმ აზრით, რომ ასეთ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს უნიჭიერესი და უმდიდრესი, ყოველისფრად დაწინა-

ურებული ერი... და ქართველი ერი, რომლის ზურგზე, ამდენი საუკუნის განმავლობაში, გადაიარა ათასმა ქარტეხილმა და დედამიწის უძლიერესმა ბარბაროსებმა, არ გატეხილა წელში და თავის ნიჭსა და დიდ სიმკვირცხლესაც იჩენს სწავლა განათლებაში და სიმდიდრის შეძენაშიაც და ჩვენ გულში ვვინერგავს ცოცხალს იმედს, რო მომავალი, მიუცილებლათ, ამ ერისაა და მისი ჩამომავლობის...

VII.

ოცდა ათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ქვეყანაში, ჩვენი თვალის წინ, აყვავდა სამი უმდიდრესი წარმოება: ნავთის, ქვანახშირის და შავი-ქვისა.

ნავთის წარმოებაში ქარველი კაცი, თითქმის არც ჩანდა სრულებით დღემდი. მარა დღეს იქ, ბარე, ექვსი, თუ შვიდი ქართველი მილიონერია, რომელთა კაპიტალი სპარსეთის ჩრდილოეთშიაც ძლიერათ შეიჭრა...

ქვა ნახშირისმადნები ქართველი კაცისთვის დღეს, თითქმის დაკარგულია...

შავი-ქვის მადნებს უფრო უცხოელები დაეპატრონენ იმ თავითვე და ქართველი კაცი ერთიც ვერ გამოჩდა ისეთი, რომ ამ მადნებით მილიონერი გამხდარიყო...

დღეს შავი-ქვის მდიდარი მადნები, რომელიც გერმანელებს ეჭირათ, მთავრობამ მათ ჩამოართვა და უნდა გაყიდოს. თუ ქართველი თავად-აზნაურობა (შავი-ქვის საბჭოს პეტროგრადში უარი უთხრეს) შეძლებს ამ თუთხმეტი მილიონის საღირალი სიმდიდრის შეძენას, მაშინ, დაწინაურებული ქართველი კაცების მეოხებით, ბევრი, ძალიან ბევრი სასარგებლო საქმეც გაკეთდება ჩვენში და ერთი ათადაც ქართველობა წელში გამაგრდება ნივთიერი დოვლათით.

ერთ კაცს, დამეთანხმებით, რაც უნდა შორს გამჭვრეტი და გენიოსი იყოს იგი, არ შეუძლია ასეთ დიდ-დიდ საქმეებს და წარმოებას გაუძღვეს. აქ, აუცილებლათ, საჭიროა შეერთებული მოქმედება, საერთო საშვალებით ძმურათ, სოლიდარულათ მუშაობა, რო ერის მხნე, მომზადებული, ფხიზელი და ნიჭიერი შვილები ჩავაბათ ამისანა საქმეში. ამ საიმედო შვილების თაოსნობით, შეეცადოთ საქართველოში გავამტკიცოთ უფრო შეერთებული, კოლეკტივური შრომა და მოღვაწეობა.

ალესილი.

სოფლიო მეცნიერი და ჰუმანისტი ილია მეჩნიკოვი.

შარშან ზაფხულს, პარიზში გარდაიცვალა ჰუმანისტი —მეცნიერი, ილია მეჩნიკოვი. კაცობრიობამ დაკარგა მასში დიდებულლი მეცნიერი, უკეთილშობილესი ჰუმანისტი და საუკეთესო თვისი მეგობარი და მოამაგე.

როდესაც დიდებულ პიროვნებაზე ვლაპარაკობთ, ადამიანს უნებლიეთ გაახსენდება ის სამი სიტყვა ,რომელიც ამოჭრილია ოგიუსტ კონტის ძეგლზე ,რომელიც დგას სორბონის პირდაპირ: ოჯახი, სამშობლო, კაცობრიობა.

არიან ისეთნი, რომელთაც მხოლოთ თვისი ოჯახის ინტერესები ახსოვთ და ესმით, მათი ვალდებულობის შეგნება ,გძნობები და ჭირ — ვარამი მათ სახლის ბჭის—კარს არ გაცილდება;ასეთი გძნობები მათი პირველ—ყოფილია, ზოოლოგიურია. მეორეთა სოფლმხედველობა— კი უფრო ძლიერია, გავითარებული და ფართო; ამათი გძნობა უფრო მაღალ-ღირსებისაა. მათში მშობლიურ გძნობებთან ერთად უკვე აღმოცენებულია უაღრესი გძნობა-სიყვარული სამშობლოს და მშობელი ერისადმი. მათი მისწრეფება სამშობლო ერის კეთილდღეობა და ბედნიერებაა, ცთილობენ სასარგებლონი იყვენ სამშობლოს გასაძლიერებლათ. ხოლო ორივე ეს გძნობა ოჯახის და სამშობლოს სიყვარულის და ვალდებულობისა უნდა იყოს ის ეტაპი, იმ კიდევ უფრო უმაღლეს სიყვარულისა და შეგნებისა, რომელიც უნდა იყოს ყოველ კულტურულ ადამიანში,—ეს არი გძნობა ხალხთა ერთობისა და ძმობისა, სიყვარული კაცობრიობისადმი.

არიან ისეთნი კურთხეულნი, ბუნებით დიდი ტალანტით აღბეჭდილი პიროვნებანი, რომლებიც თვისი დიადი ღვაწლით, შრომით და ღრმა გძნობებით შეიქნებიან იმდენათ ძვირფასნი და საყვარელნი, რო ბოლოს, იგი-

ნი ეკუთვნიან არა მარტო რომელიმე ერთს ერს, არამედ თელ განათლებულ კაცობრიობას.

ყოფილი ადესის პროფესორი, დევნილი და გაძევებული რუსეთიდან, ილია მეჩნიკოვი გადადის პარიზში, სადაც მას დიდი თანაგძნობით იღებს თავის ინსტიტუტში გენიოსთა გენიოსი—პასტერი. აი, აქ, ამ სახელგათქმულ ინსტიტუტში იწყება ახალი, ბწყინვალე ხანა მისი სამეცნიერო მოღვაწობისა. აქიდან თელ ქვეყნიერებაზე ეფინება ახალ—ახალი უკვდავი მეცნიერული გამოკვლევანი. ახალმა სამშობლო—საფრანგეთმა ჯეროვანათ დააფასა თვისი ახალი—მამულიშვილი: ილია მეჩნიკოვი შეიქნა უსაყვარლეს და პოპულიარულ საფრანგეთის მოქალაქეთ, იგი შეიქნა სათაყვანებელ პირათ, რომლითაც ამაყობდა თელი საფრანგეთი.

დიდებული პასტერის შემდეგ, მეჩნიკოვი ინიშნება ინსტიტუტის ვიცე-დირეკტორათ. მარა, ამავე დროს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დიდებული მეცნიერი ეკუთვნოდა არა მარტო თვის ახალ სამშობლოს, არამედ იგი, ამავე დროს, ისეთივე სათაყვანებელი და საყვარელი იყო ყოველი კულტურული ადამიანისთვის, ეროვნების განურჩევლათ. თელი განათლებული კაცობრიობა მას თვლიდა თავის მოამაგეთ. დიახ, ის იყო სოფლიო მოქალაქე.

შეუძლოთ თავს, კარგა ხანი იყო, რომ გძნობდა. იგი ელოდებოდა ომის გათავებას, ოცნებობდა კვლავ თავის მკაცრ სამშობლო—რუსეთში დაბრუნებას. სულ იმას წუხდა, ამ ბოლო დროს, კერძოთ, რუსეთისთვის, რაც საჭირო იყო, იმდენი არა გამიკეთებია რაო.

ამ საშინელმა სოფლო ომმა, ამ გასაოცარმა სისხლის ღვრამ დიდათ ააღელვა ჩვენი ჰუმანისტი და სწორეთ ამ სოფლიო ზარმა და მწუხარებამ უფრო მოუახლოვა სიკვდილის ჟამი ჩვენ საერთო ძვირფას მეგობარს.

ილია მეჩანიკოვმა ჯერ კიდევ უკვდავ ჰყო თვისი სახელი, როდესაც გამოაქვეყნა თვისი შესანიშნავი გამოკვლევანი მეცნიერების იმ დარგში, რომელსაც ზოოლოგია ქვია. მან და კოვალევსკიმ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერების სულ ახალ დარგს—ემბრიოლოგიას. თვისი მეცნიერული გამოკვლევებით მეჩნიკოვმა კიდევ უფრო ნათელ ჰყო და კიდევ უფრო მეტი მეცნიერული საფუძველი მიცა დიდებულ ჩარლზ დარვინის თეორიას.

მეორე ხანა მეცნიერული გამოკვლევათა იწყება პასტერის ინსტიტუტში, პარიზში. ეს გამოკვლევანი, განსაკუთრებით, მიმართულია ადამიანის ორგანიზმის საიდუმლოებათა ასახსნელათ. მართლაც, როგორც ბწყინვალე მზის სხივებმა, ისე გააშუქეს მრავალი ისეთი საკითხი მედიცინაში, რომლებიც ბურუსით და გაუგებრობით იყო აქამდი მოსილი. ადამიანის სხეულის ისეთი კუნჭულები გააშუქა, ისეთი საიდუმლოებანი აგვიხსნა და გადაგვიშალა თვალ-წინ, რომლების გაგებას და მიხვედრას ელოდენ თელი საუკუნოები და რომლებსაც დასძლია ისეთი გენიის მქონებელმა, როგორც იყო ჩვენი მეცნიერი მეჩნიკოვი.

როდესაც მეჩნიკოვის მეცნიერულ გამოკვლევებზე ვბაასობთ, არ შეგვიძლია არ მოვიხსენოთ მისი გენიალური, დღეს საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული, თეორია „ფაგოციტოზისა“,*) ის თეორია, რომელმაც თელი ახალი ხანა შექნა მეცნიერაში და, კერძოთ მედიცინაში, ისეთი პერსპექტივები წამოაყენა, რომლების შედეგი ვანუზომელია.

ეს უკანასკნელი ოცი, ოცდა ხუთი წელიწადი ჩვენმა მეცნიერმა შექნა თელი რიგი ღრმა-მეცნიერული ხასიათის შრომისა, რომლებიც მიმართულია ადამიანის ტანჯვის და ვაების შესასუბუქებლათ. დევიზი ამ დიდებული მეცნიერისა იყო: მეცნიერება და მხოლოთ მეცნიერება შეუსუბუქებს ადამიანს ტანჯვას და ზნეობრივ უკმაყოფილებას, გაუძლიერებს მას სულიერ სისწორეს, გაამაგრებს მის, დღეს ასე დაძაბუნებულ, ფიზიკურ და

*) დაწვრილებით ამის შესახებ, შემდეგ, გვექნება ბაასი მკითხველთან.

ავტ.

ფიზიოლოგიურ მხარეს სხეულისას, აარიდებს მას სხვადასხვა ავათმყოფობას, რომლებიც ასე ასუსტებენ სხეულს და, ბოლოს, დღეინდელი ადამიანის ასე შემოკლებული დღე-გძელობა და ხანმოკლეობა სიცოცხლისა შეიქნება უფრო ხან-გძლივი. ადამიანი ას წელიწადზე მეტს თუ არა, ასი წელიწადი ხო მაანც იცოცხლებს... დღეინდელი სიბერე, რომელიც ასე ნაადრევია, რომ იგი უფრო ავათმყოფობას წააგავს, უფრო ნორმალური შეიქნება და არც ისე უდროოთ, ადრე დადგება ადამიანის სიცოცხლეში. საღ,—ხანგძლივი სიცოცხლის შემდეგ, უნდა დადგეს საღი, ნორმალური სიბერე, ადამიანი ისე გაძღე საღი სიცოცხლით, რო მასში აღმოცენდეს ინსტიკტი სიკვდილისა, რომელიც დღეს მასში არ არი. როდესაც ეს ინსტიკტი გაჩდება ჩვენში, ის შიში, ის საშინელი აჩდილი სიკვდილისა, რომელიც მუდამ ჟამს დევნის ადამიანს, მოისპობა და სიკვდილის მოლოდინიც დაკარგავს თავის საშინელებას. როგორც ადამიანი, თელი დღის მუშაობით დაღლილი, ელის ღამეს, რო მიეცეს ძილს, ისევე ადამიანიც ხანგძლივი საღი ცხოვრებით მოყირჭებული—მოელოდება სიკვდილს. ბედნიერებას ელოდეთ მეცნიერებისგანო, ამბობს ჩვენი დაუვიწყარი მოამაგე მეცნიერი. და ჩვენ გვწამს და გვეხსომება ეს დიადი სიტყვები დიდებული მასწავლებლისა.

დღეს, როდესაც მოწმენი ვართ ამ საარაკო მხეცური ხოცვა-ჟლეტისა, დღეს როდესაც ადამიანის სიცოცხლეს ყოველივე ღირებულება დაეკარგა და ყოველი ჰუმანური გძნობები და სიყვარული მოყვასისადმი ტალახშია გასრესილი... ხედავთ ამას,სასოწარკვეთილების გძნობით იბოჭება სული და გული, ყელში რაღაც ისტერიული ბურთი გვრჩება და გვახჩობს... და, აი, სწორეთ ამ დროს, როდესაც გახსენდებათ ილია მეჩნიკოვის სახელი, გულს შვება ეძლევა, დროებით მაინც, თითქოს ამ საშინელ აუტანელ წყვდიადში სასოების შუქი შემოიჭრება.

ექიმი ბადრიძე.

დასავლეთის სტუდენტობა.

I.

ის დიდი როლი, რომელიც საქვეყნოთ ითამაშა რუსეთის „დემოკრატულ სტუდენტობამ“, გამათავისუფლებელ მოძრაობის დროს, ახალი მოვლინება როდია. ყველგან,საცა ბურჟუაზიას უხდებოდა ძველ ფეოდალურ ბიუროკრატიასთან ბძოლა, სტუდენტობა ყოველთვის ავანგარდში იდგა და მუდმივ ასრულებდა პირველ პიონერის ვალდებულობას, რომელსაც დიდი ხალისით და ენტუზიაზმით არწამოებდა. აბა, ერთი მაგალითი მაინც დამისახელეთ, სტუდენტობას

არ გამოეჩინოს თვისი „მე,“ მე,დემოკრატულ სტუდენტობისა...

ეს მხარეები ქონდა სტუდენტობის მოძრაობას, როგორც დამტკიცებითი ფუნქცია მისი ფსიქოლოგიისა.

ინტელიგენციას (ვექილები, მკურნალნი, მასწავლებლები, მწერლები და სხვა) თავის ფუნქციის შესასრულებლათ ეპირვება თავისუფლება სიტყვისა, გადაცემისა, გასამართლებისა სწორეთ ისე, როგორც ბურჟუაზია თხოულობს მრეწველობის გაფართოებას, მოძრაობის თავისუფლებას. ასეთია ბძოლა სპეციალისტებისაც თავ-თავიანთ დარგებში...

ინტელიგენცია იდგა ბურჟუაზულ გამათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში და იბძოდა ამასთანავე თვისი პირდაპირი დანიშნულებისთვის, ნივთიერ ინტერესების გამტკიცებისთვის. მარა, როგორც-კი ბურჟუაზიამ იშოვა უფლება, როგორც-კი კონსტიტუციონალურ გარანტიამ მიიღო ერთგვარი გაშუქება, სტუდენტობა თავის-თავათ აღარ თამაშობდა იმ პოლიტიკურ როლს, რათგანც ინტელიგენციას ქონდა შეძლება დაეხატა ნათლად ხალხისთვის, თავისუფალ კონკურენციის სამეფოში ის, რასაც ამდენი ხანი სტუდენტობა ასრულებდა (იხ. Ст. Вѣстн. 1907).

სტუდენტობა იყო რევოლიუციონური, სანამდი ბურჟუაზია მოინათლებოდა, როგოც ასეთი და სტუდენტობა, იმდენათ ძლიერი

იყო ამ შემთხვევაში, რამდენათაც ბურჟუაზია სუსტათ გძნობდა თავის „მე“ს.

უკანასკნელი ოპოზიციონური გამოსვლა სტუდენტებისა საფრანგეთში რესტავრაციის ეპოქას ეკუთვნის, როცა ბურჟრაზია თავიდან ბოლომდი „კორნობორსკის“ შეთქმელობაში შევიდა ნახევრათ ფეოდალურ მონარქიის წინაღმდეგ...და უნდა ავნიშო, რო ამ მალულა, დაფარულ მოძრაობაში იღებდა მონაწილობას თელი ჯგუფი მაშინდელ სტუდენტობისა, როგორც ასეთი. საფრანგეთის მწერლობაში, არა ერთ და ორ რომანს შეხვდებით, საცა აწერილია სტუდენტობის მოძრაობა და მათი ხელმძღვანელობა, ორგანიზატორობა, ივლისის დიდარეულობებში.

ივლისის რევოლიუციის შემდეგ, როც ბურჟუაზია დიდი უფლებით აღიჭურვა, საფრანგეთის სტუდენტობა, კერძოთ, როგორც სტუდენტობა, გამოვიდა მალულ მოძრაობიდან. კონსპირატულ წრეში, რომელიც დაარსებულ იყო 1836 წელს, წევრათ მრავალი ინტელიგენტი იყო, ხოლო, სამი და ოთხი წლის შემდეგ, ლურჯ ბლუზა მუშათა შორის, იშვიათად გამოიჭვრეტდა ინტელიგენტის ფიგურა. არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რო საფრანგეთის სტუდენტობამ იკისრა უმთავრესი როლი, როლი პოლიტიკურათ საფრანგეთის გაძლიერებისა... გერმანიაში, საცა ჯერ კიდევ 19—ტე სუკ. პირველ ნახევარშიაც ძლიერი იყო, ოპოზიცია ძველი, ფეოდალური წესწყობილებისა და ბიურგერობას ღრმა ლეტარგიული ძილით ეძინა და,აი,ამ დროს,სტუდენტობას კისერზე დააწვა დიდი ისტორიული მისია, დააწვა მისია იმისა, რაც ითქვა და პრაკტიკულათ გარკვეული იყო საფრანგეთში. გერმანიის უნივერსიტეტები იყო პირველი ლამბარი ბურჟუაზული რევოლიუციისა. მაშინ, როდესაც ძველი ფეოდალური წეს-წყობილებით გერმანია დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილათ და თითო ნაწილს განაგებდა თავადები და მამები, ან მანარქები აპეკუნობდენ თავიანთ ქვეშევრდომებს. აი, ამ დროს, სტუდენტები ჩუმათ ღელდებოდენ...ისინი მალულათ გერმანიის გაერთიანებაზე ფიქრობდენ და ქადაგებდენ. სტუდენტებს უნდოდა გერმანის გაერთიანება (თელი ნაციონალურ ბაზრათ გამოეცხადებიათ) და თხოულობდენ თავისუფალ პოლიტიკურ დაწესებულებებს...

სტუდენტების მოძრაობა დაიწყო დიდი და შესანიშნავი მოძრაობით ვარტბურგში, 1817 წ. და, მერე, გადავიდა პრივატ-დოცენტ ფოლდენის აგიტაციით მისსენის უნივერსიტეტში, საცა მიიღო ტერორის სახე. (კოცებუ მოკლა ზოიდმა). მას შემდეგ, რაც გერმანულ „ბიურგერსტვოში“ გააშუქა კლასიურმა თვით შეგნებამ, სტუდენტების მოძრაობა იღებდა უფრო და უფრო ფართო და ძლიერ ხასიათს. პირველ-ყოფილ „ბუხშენშავტების“ მაგიერ, რომელნიც აშკარათ მოქმედობდენ, აღმოჩდა ახალი, კონსპირატული საზოგადოებანი და კავშირები, რომლის წევრები ხსნას მარტო ერთეულ რესპუბლიკაში ხედავდენ და ახლა უკვე გიმნასტიკით-კი არ ვარჯიშობდენ, არამედ თოფ-იარაღით.გერმანელ სტუდენტთა მოძრაობა პირდაპირ ბურჟუაზულ ინტელიგენტურ სახელს ატარებდა, როდესაც ბიუხნერი ცდილობდა,რო საკითხი პოლიტიკურიდან ეკონომიურ ნიადაგზე გადაეტანა. (იხ. ბიუხნერი прежде экономія, потомъ политика). და, ამიტომაც, მოაწყო საიდუმლო ორგანიზაციები, რო გამოეშკარავებია, „კომუნისტური რესპუბტიკა“. რო ვთქვათ, სტუდენტობას, საზოგადოთ, არაფერიც ქონდა საწინააღმდეგო, რათგან თვით თავიანთ თავს ისინი კომუნისტებათ თვლიდენ. ხოლო როცა გაიგეს, რომ ასეთ წრეებში მოხელებსაც მიეცათ ნება მონაწილობისა, სტუდენტობამ უარყო პროეკტი ბიუხნერისა...

ერთხელ, კერძო ბაასის დროს, მუცკინი არწმუნებდა ვ. გიუგოს, რომ ერთად-ერთი მსხნელი გერმანიისა არი მხოლოთ და მხოლოთ დემოკრატული სტუდენტობა, რასაკვირველია, „სანსკრიპტულ ენის“ საშვადიებით, ირონიულათ მიუგო ხუმარა გიუგომ.

40—იან წლებში გერმანიის ყოველ უბრალო უნივერსიტეტის ქალაქებში ხდებოდა საიდუმლო კრებები, რომელნიც პოლიციის

რეჟიმს ერთხელაც ვერ დაემალებოდა. მარა ასეთი წანწალი დროთა სრბოლაში თან-და თან იზდებოდა და სტუდენტობა ხდება გოლიათი იმ დღისა, როცა დასრულდა დემოკრატულ სტუდენტობის გულისნადები გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში.

დადგა 1848 წლის მარტი... ბერლინის ქუჩები აივსო ბარიკადებით და, თუმცა უმეტესობა მოკლულთა რიცხვისა იყო მუშები, მარა სტუდენტობა აკტივურ მონაწილობას იღებდა, რომელმაც თვისი გაიტანა. რევოლიუციამ გაიმარჯვა: გაიტანეს თვისი სტუდენტებმა და მუშებმა. რევოლიუციონერთა გამარჯვების შემდეგ, როცა ფრიდრიხ ვილგელმ IV ეტლით უნივერსიტეტთან მიდიოდა, მას გადაეღობა დეპუტაცია შეიარაღებულ სტუდენტობისა. მეფემ შეხედა დეპუტაციას, თავი ძირს დახარა და შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა მას: „დღეინდელი დღე, ყმაწვილებო, დიდებული დღეა, დღე გადამწყვეტი ჩვენი მომავალისა.

თქვენში იმალება დიდებული მომავალი და, როდესაც თქვენ ბოლოს დაუკვირდებით განვლილ ცხოვრებას, უეჭველია, გაგახსენდებათ ეს დღეც.“

მარა არ კმაროდა, არც ასეთი სიტყვები, არცბერლინის სტუდენტთა გამარჯვება.

ამაზე უფრო გრანდიოზული როლი გამათავისუფლებელ მოძრაობაში ვენის სტუდენტობამ ითამაშა...

თავიდან მას ობსტრუქციისთვის არ მიუმართავს, რათგან დარწმუნებული იყო, რო შვიდობიანათ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო კონფლიკტი ძველი და ახალი მოძრაობისა...

ამაში ღრმათ დარწმუნებულ სტუდენტობამ პეტიცია მიართვა იმპერატორს. პეტიციის შინაარსია: 1) თავისუფლება ბეჭდისა, 2) სიტყვისა, 3) თავისუფლება გადაცემისა და 4) სახალხო წარმომადგენლობა. ამას შემდეგ, გამოირკვა, რო ძველი მოძრაობის შეფერხება შეიძლება მხოლოთ ძალით.

მართლაც, სტუდენტობა გადვიდა მოძრაობაში. მან 48-წელს შექნა „თვალ-საჩინო აკადემიური ლეგიონი“.

აი, სწორეთ ამ დროს, ე. ი., 48-წლით თავდება პოლიტიკური როლი გერმანელ სტუდენტობისა.

ამას შემდეგ, ამბობს პროფესორი პაულსენი: „როგორც დიდებული ნაციონალური გამოცანები, ასე, თუ ისე გადაწყდა, რო გერმანელი სტუდენტები არ გამოდიოდენ პოლიტიკურ და საზოგადო არენაზე. ასეთი მდგომარეობაო, რომელსაც უმატებს შესანიშნავი პროფესორი, უნდა ვცნოთ პირდაპირ ნორმალურათ.

II.

მე IX საუკუნის მეორე ნახევარში, ევროპის დასავლეთის უნივერსიტეტი თან-და-თან კარგავს თავის პირველ ყოფილ დემოკრატულ ხასიათს და თან-და-თანობით ხდება იგი მონოპოლიათ ბურჟუაზულ წოდების.

ეს მეტამორფოზა, ჩემი აზრით, უფრო ნათლად მაშინ გამოჩდება, როცა გერმანიის უმაღლეს სკოლის წესდებებს ათვალიერებ. მე IX-საუკნის პირველ ნახევარში, გერმანიის უნივერსიტეტში კიდევ ბევრი იყო ღარიბები, ა. წ., „პაუპერები“ (უსახსროები).

უბრალო ღარიბ, დაბიო მოქალაქის ოჯახს შეეძლო თავისუფლათ გაეგზავნა თვისი შვილი უმაღლეს სასწავლებელში, რათგანც კურსი ორ წლიანი იყო და ახალგაზდობას შეეძლო, როგორმე გამოსულიყო დღიურათ უფასო სადილებით და კერძო გაკვეთილებით.

უმეტესობა ღირსშესანიშნავი მეცნიერებისა მე XIX-საუკუნის პირველ-ნახევარში წარმოიშვა ასეთ ღარიბ ოჯახებიდან. ამავე დროს, იყო ბევრი სტიპენდიები, რომლებითაც, რა თქმა უნდა, როგორც რუსეთში, ისე იქაც ნახევარი სტუდენტობა ამით ცხოვრობდა. აი, მაგ. ვენის უნივერსიტეტში, 1846 წელს 1719 მსმენელზე მოდიოდა 270 სტიპენდია. თავის შემადგენლობით, ძველ გერმანელ უნივერსიტეტს ნათელი დემოკრატული ხასიათი ქონდა. აი, რასა წერს ერთ ერთ მაშინდელ ჟურნალში ერთი გერმანელი პროფესორი. „პროვინციიდან მოდიან, უფრო უმეტესათ, გლეხის—

შვილები, გამოსულები დაბალ-კლასიდან, რომლებსაც მაშინდელი სწავლის მეთოდი უსუბუქებდა საქმეს და აძლევდა შეძლებას, მეტი ნაწილი ასეთ მასისა მოხვედროდა ამ უნივერსიტეტში.“

გაჭივრება ვენის სტუდენტობაში საზლვარს აჭარბებდაო, შენიშნავს ერთი პრაფესორი. თითქმის თელი ვენის სტუდენტობა, ისე ხელ-მოკლე იყო, აღნიშნავს ბახი, რო კვირაში ერთხელაც ვერ ეშოვნათ ფული, რო ცხელი საჭმლით კუჭი გაეცხოველებია. თვე ისე გადიოდა, რო სტუდენტობას ვხედავდი პურით და წყლით მკვებავსო. აი, ასეთი ღარიბები ცოდნას, ასე იძენდენ, ხოლო თელ თავის სიცოცხლეს და ცხოვრებას იკლებდენ. (იხ. **Бахъ. Вѣнскій унив. въ XIX вѣкѣ**).

ასეთი გამეფება დემოკრატული მასისა, სტუდენტთა შორის, ამტკიცებს იმას, რო იმათ მოძრაობაში 1848 წელს ითამაშეს დიდი და მთავარი როლი. მე XIX საუკ. მეორე ნახევარში, სხვილმა ბურჟუაზიამ დააჩქარა თავიანთ შვილების ცოდნის მონოპოლიზაცია. ყოველივე თვალთმაქცობა იხმარა მაშინდელმა გერმანიის სხვილმა ბურჟუაზიამ, რო გადაეღობა წინ-სვლის გზა მოწინავე დემოკრატულ მასისთვის და უმეტესათ-კი წვრილ ბურჟუაზიისთვის.

ამ მიზნით სწორეთ, გაფართოვდა არენა გიმნაზიის პროგრამისა. ამ მიზნითვე გააფართოვეს და გააგძელეს უნივერსიტეტის კურსიც. მატერიალურათ შებოჭილ მასას უძნელდებოდა ასეთ პირობებში გზის გაკვლევა და მეცნიერების უკანასკნელ საფეხურამდი მიღწევა.

შემდეგი ციფრებით ამტკიცებს ბონროდი პრუსიის უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექციის შემადგენლობას 1887—1890. წ.

ვაჭრების, ბანკირების, სასტუმროს პატრონების და წვრილ მოვაჭრეთა შვილები იყო

სულ	2.416 სული.
მრეწველების და ხელოსნების	1.981 „
თავისუფალ აგრონომების	1.613 „
მანტიეს, სხვილ მემამულეების	604 „
მკურნალთა, მასწავლებლების და საღვდელოების	2.850 „
სახალხო მასწავლებლების	1.099 „
მუშების	12 „
დაბალ მოსამსახურეების	9 „

აი, ამ ციფრებიდან ჩანს, თუ როგორი მძლავრი იყო ბურჟუაზული ელემენტები უნივერსიტეტშიაც—კი... საკმარისია მივაქციოთ ყურათღება „ბუშენშავტების“ განვლილ რევოლიუციას.

როდესაც „ბუშენშავტები“ ფაკტიურათ ებძვიან „კორპორაციებს,“ რომლებშიაც ბატონობს აზნაურობა და სხვილფეხა ბურჟუაზია, მათ უყვართ და ჩვეიათ კიდეც დღემდი ხაზ-გასმით უწოდონ თავიანთ-თავს „დემოკრატები“ და ერთ ხმათ აღიარებენ, რო პირველი ხალხის მომხრე ისინია. თუმცა უნდა ვთქვა, რო მათ-შორის არც იმდენი გასხვავებაა.

თუ ოდესმე „ბუშენშავტები“ ბიურგერსტვოს ოპოზიციონური სულის მატარებლები იყვენ, მაგიერათ, ახლა პრაფესორი პაულსენის არ იყოს, ისინი წარმოადგენენ შერცხვენილ მასას, ჩაკეტილ სტუდენტების წრეს, ძველ პრინციპის გამთელელს, ხელო სხვა შემთხვევებში-კი, მაგ. ფორმალურ მხარეებში, თუ როგორ ეპყრობიან სტუდენტების წრეს, უნდა ვთქვა, პროფესორის ენით, რომ ისინი უახლოვდებოდენ „კორპორაციებს“, იმ „კორპორაციებს“, რომლების ძალით მათი პრინციპი და მიზანი შელახულ იქნა. იმ „კორპორაციებს“, რომლის მათრახებით რამდენიმე წელიწადიც ზურგი ეწვოდათ, თელ დემოკრატულ პრინციპის მექონე მასას. ბურჟუაზული შემადგენლობა თანამედროე. ევროპის დასავლეთის უნივერსიტეტისა წყვეტს წინდაწინ სტუდენტთა დამოკიდებულებას სოციალურ საკითხებთან, პროლეტართა მოძრაობასთან.

ინგლისში, სადაც უნივერსიტეტი თითქმის მარტო ბურჟუაზიისაა, ლოდიკურათაც და ბუნებრივათაც ცხადია, რომ აქ სტუდენტობამ მეოთხე წოდებაზე რაიმე იფიქროს.

მან არ იცის, მეოთხე წოდებას მათ-

სავით უნდა ჭამა—სმა, თუ არა... როდესაც ბაირ-გარდმა სტუდენტთა შორის, მოინდომა მუშათა პარტიის პროგრამის გავრცელება, შესწავლა და თვისი აზრიც გამოთქვა აუდიტორიაში, სტუდენტობამ ისეთი აურ-ზაური და ყვირილი ატეხა, რომ ის იძულებული იყო სიტყვა თავშივე შეეწყვიტა. საფრანგეთის სტუდენტობა, რომელ შორის, ბერანჟეს სიტყვით, ბევრი ინტელიგენტი პროლეტარი იყო, მართლაც, რომ არ უყურებდენ ისე მტრულათ სოციალიზმს, როგორც ინგლისში, თუმც პირველების დამოკიდებულებაც ცოტათი მოისუსტებდა. (იხ. Интеллигентный пролетаріатъ во Франціи").

როდესაც „კომუნარების ამნისტიის" შემდეგ, მოგვითხრობს ლაფარგი (იხ. მისი **Интеллигенція и соціализмъ**) ჩვენ, ვალონი, გედი და მე. ყველა გამოჩენილი სოციალისტებია). თავიდან შეუდექით სოციალიზმის პრაპაგანდას, ჩვენ გგეგონა, რომ ადვილათ შეიძლება ინტელიგენტურ პროლეტარიატის ჩათრევა მოძრაობაში და, ამიტომაც, დავესახლეთ ლათინთა უბანში. *) იქ ძლიერ დავიახლოვეთ რამდენიმე სტუდენტი სხვადასხვა ფაკულტეტისა. ხოლო თითზე ჩამოსათვლელი იყო სოციალიზმისთვის სანუშევარი ყმაწვილები. ისინი, ამბობს ლაფარგი, ერთ და ორ დღეს, ძლიერ ერთობოდენ ჩვენი იდეებით, ხოლო საკმარისი იყო პატარა ნიავი, რომ ისინი გაქცეოდენ ჩვენ პრაპაგანდას სამუდამოთ. დღესაც არი პარიზში „ჯგუფი სტუდენტების კოლეკტივისტეებისა", რომელიც სტამბავს პრაკლამაციებს და აგიტაციონურ ლიტერატურას. მარა რაა მათი გავლენა სტუდენტობაზე? თლად ფუჭი და უმნიშვნელო.

გერმანიაში ერთ დროს, სანამ ბისმარკის კანონები გამოიცემებოდა, სტუდენტობა ძლიერ ფართო ჩარჩოებით ეკედლებოდა და სწავლობდა სოციალიზმს. მარა, როგორც-კი მუშათა პარტია ძლიერულ იქნა, იმწამსვე სტუდენტობამ ფრონტი იცვალა.

ბისმარკის კანონების გაუქმებას შემდეგ, სოციალ-დემოკრატებმა განაახლეს აგიტაცია ინტელიგენციაში. უნივერსიტეტიდან ძლიერ წვავე მათრახები მიიღეს, განსაკუთრებით, ანტისემიტებიდან, ნაციონალ-ლიბერალებიდან და რეაქციონერებიდან. შემდეგ-კი, როცა იგძნეს ყოველივე ეს საქმეზე და დარწმუნდენ სტუდენტების ცერცეტში, უკუ-აგდეს ისინი ბ ჟანდარმებათ ისინი აღიარეს. და, აი, მაშინ სანამდი რეიხსტაგში არჩევნები დაიწყებოდა, გერმანელი სტუდენტობა აკტივურათ ეწინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატებს და იღებდა მათ წინააღმდეგ სერიოზულ ზომებსაც... სხვებზე უფრო დამტკიცებით აკტივურ მონაწილობას იღებდა პროლეტარულ მოძრაობაში იტალიელი სტუდენტობა. ზოგიერთი მარკსისტები ხსნიან ამ ფენომენალურ მოვლინებას, მოძრაობის ისტორიაში იტალიელ ინტელიგენციის იდეალისტობით. (**Гурвичъ: „Участіе интеллигенціи въ современномъ рабочемъ движеніи"**). მიზეზი ეს არ არის, უფრო პროზაულია.

იტალია, ევროპის ერთი უღარიბესი მხარეა სადაც კაპიტალიზმი, თითქმის მცირეთაა გავრცელებული და ზედმეტი ღირებულება, რომელიც მხოლოთ ინტელიგენციის ზურგს აწევს, ძლიერ მცირეა. ხოლო მიზიდულება ლიბერალურ პროფესიებისადმი ძლიერ დიდია. ამისდა მიუხედავათ, როგორც მაგ. წლიური შემოსავალი ფრანგისა, უდრის **5,000** ფრანკს და იტალიელისა-კი **2,000** ფრანკს და იტალიელისა-კი **100,000** მცხოვრებზე საფრანგეთში იზდება **54** სტუდენტი, და იტალიაში-კი **75** სტუდენტი

(**кольбелли: интелигентный пролетаріатъ въ Италіи**) არცერთ ქვეყანაში არ არის, იმდენი ინტელიგენტური პროლეტარი, რამდენიც იტალიაშია.

ასეთ პირობებში მყოფი იტალიის ინტელიგენცია, არ არი გასაკვირი, რო ყველა მხარეზე ოპოზიციონური იყოს და, უმთავრესათ, ოპოზიციოიურია არსებულ წესწყობილებისა... აქიდან ცხადია, რო ყველაზე უფრო თავისუფლათ ემხრობა იქაური ახალგაზდობა თავისუფალ მოძრაობას.

*) ლათინთა უბანი იყო მაშინ ერთად-ერთი მყუდრო და უშიშარი ადგილი, რათგან იქ მხოლოთ ვენეციელი ვაჭრები ცხოვრობდენ და პოლიტიკურ მოძრაობის იმ უბანში, რესპუბლიკის მთავრობას არ ეშინოდა. ავტ.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ არსათ არ არი დედა-მიწაზე ისეთი სოციალისტური პარტია, რომელიც იმდენათ იყოს გაჟღენთილი ოპორტიუნიზმის და რეფორმიზმის სულით, როგორც იტალიანურია, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს, თუ როგორ გაუკეთოს ნიადაგი ინტელეგენტურ მუშაკებს და არა მუშათა კლასის ინტერესებს.

სახელმწიფო სოციალიზმი, აი იდეალი, იდეალისტურათ აზდილ იტალიელ ინტელეგენციისა. (Леоне. „Синдикализмъ“). ასეთი ქიშპური, გულ-ცივი, თავისებურ ეგოისტური დამოკიდებულება ინტელეგენციისა და, კერძოთ-კი, სტუდენტობისა სოციალიზმთან, ადვილათ აიხსნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ჯგუფს უჭირავს ერთგვარი პოზიცია—მწარმოებელ პროცესში, რომლითაც ბურჟუაზიისთვის ასრულებს არა თუ იმ ორგანიზატორულ და ტეხნიკურ ფუნქციებს, არამედ მეტსაც... ჩვენ თუ დავაკვირდებით, გადავათვალიერებთ დასავლეთის თელ სტუდენტობის მოძრაობას ძნელი გასაგებიც არ არი, რო იგი წარმოადგენს რუსთა სტუდენტობის ბედ-იღბლის ფანტაზიას...

იმ ქვეყნებში, საცა კაპიტალს უხდება ძალ-მომრეობით ჩატეხოს ხიდი ძველი ეპოქისა, სტუდენტობა ყოველთვის თავისუფალ მოძრაობის სათავეში დგას. სტუდენტობა, ვიმეორებ, ყოველთვის ავანგარდშია. ის იბძვის თავის პირდაპირი დანიშნულებისთვის. ის იბძვის მატელიარულ ინტერესების გასაუმჯობესებლათ, თუმცა უმთავრესი როლი ამ ბძოლაში, სტუდენტობაზე უფრო ნივთიერათ შეუძლებელ დემოკრატულ ელემენტებს აქვს. იქვე, საცა ბურჟუაზია პროგრესშია და მით უმეტეს, თუ ის დაახლოვებულია უფლებასთან, ან უფლებიანია, ის ჩქარობს, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, მონოპოლიზაცია უქნას უმაღლეს განათლებას, თვის შვილების ინტერესისთვისვე და უცხადებს „ლოკაუტს„ ამ დაჩაგრულ, ღარიბ დემოკრატულ ელემენტებს, „პაუპერებს“, როგორც უწოდებდენ მათ საშვალსაუკუნოებში.

ქ. მოსკოვი.

ს. ნინაშვილი.

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.*)

მართალია, ვახუშტი „წინარეხის ალმოსავლეთით და გომი—ჯვრის ზეით“ უჩვენებს მონასტერს, ლავრას სახელწოდებით, სადაც ყოფილა ეკლესია გუმბათიანი (გეოგრაფია გვ. 196), მარა არსაიდან ჩანს, რომ ეს მონასტერი ყოფილიყო ის ადგილი, სადაც გადიწერა ჩვენი ოთხთავი.

ათანასე წიგნაურზე და არსენი ჭერემელზე ჩვენ ცნობები არა გვაქს. ძველი ქალაქი ჭერემი, ან ჭერამი, რომლისგან, უეჭველია, მიიღო თვისი წოდება არსენს, მდებარეობდა კახეთში, მდინარე ჭერემზე, რომელიც ალაზანს ერთვის. ჭერემი ვახტანგ გორგასლის დროს მოხსენებულია ციხეთ (ქარ. ცხ. I 147). ახლა-კი ეს ძველი ციხე-ქალაქი წარმოადგენს ერთ პატარა სოფელს. ქალაქი ჭერემი, როგორც მოგვითხრობს გადმოცემა, დაუარსებია ქართლოსის შვილს კახოსს (პლ. იოსელიანი. Города существовавшіе существующіе въ Грузіи“ 73 და 74),1) ვახტანგ გორგასალს-კი გაუშენებია იგი დიდშენი და გუმბათიანი ეკლესიის აშენებით და დაუსვამს ამ ქალაქში “ ეპისკოპოზი მწყემსი შიგნით კახეთისა „(გეოგრაფია ვახუშტისა, 314 და ქ. ცხ. 1, 146) ერთი 1722 წლის მეფე დავითის (იმამ გულ ხანი) გულჯარიდან სჩანს, რომ ამ წელს ჭერემელად ყოფილა დომენტის (თ. ჟორდანია) ქართლ-კახეთის მონასტრებიდა ეკლესიების საისტ. საბუთები, გვ. 70 მეფე თეიმურაზი 1757 წლის გუჯარში ჭერემის ტაძრის თაობაზე მოგითხრობს: „ეკლესიასა შინ ეპისკოპოზი მისი საყდარსა ზედა მჯდომარე არ გვინახავს“ და თვით ეკლესია საქართველოს მტერთაგან დანგრეული იყო. ამისთვის მეფე თეიმურაზმა საეროომლო მამულები და სამწყესო გაიყო ალაველდელ, ბოდბელ და ნინოწმიდელი ღვდელთმთავართა შორის, მათ უნდა მოეარნათ სამწყსოსათვის და შემოსავლი-

*) იხ. ,,ცხოვრება'',№ 17—18.

'') ჭერემი ახლა დასახლებულია რაჭველებით.

რედაკტორი.

1) პლ. იოსელიანი ჭერემს იხსენებს ჭურების სახელით. ალბათ, შეცდომით

თაც ესარგებლათ (ibid. 256-257 ხახანაშვილი, გუჯრები 100-101) 1758 წელს ზემოხსენებული გუჯარი მეფე ირაკლიმ გააუქმა თელი საჭერმლო გადასცა ბოდბელ მიტრაპოლიტ საბას (ხახანაშვილი. გუჯრები 120).1) მაშასადამე ჭერემის ტაძარს მტერთაგან აოხრება-დანგრევა და ეპარქიის გაუქმება უნდა მომხდარიყო 1722 წლის შემდეგ. თუმცა 1736 წელს მეფე თეიმურაზის და საღვდელოების იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისადმი გაგზავნილ წერილში მოხსენებულია ჭერემელი დავითი (პლონგი. Переписка Груз. царей съ Росс. Государевни-214), მარა ზემოხსენებული თეიმურაზის სიტყვები, რომ მას არ უხილავს ჭერემის ეპისკოპოზი თავის კათედრაზე მჯდომარე, გვაფიქრებიებს, რომ ეპის. დავითი მხოლოდ იწოდებოდა ჭერემელათ, ან თუ მართლა განაგებდა სამწყსოს, ალბათ ბინა ქონდა არა ჭერემში, არამედ სხვაგან, სადმე. თეიმურაზი II გამეფდა 1733 წელს და, თუ ეპის. დავითს ქონოდა ბინა ჭერემში, მას არ ექნებოდა საბუთი ეთქვა ამნაირი სიტყვები ჭერემის კათედრის შესახებ.

არსენი ჭერემელი ჩვენი ხელთ ნაწერისა იყო ერთი ამ ეპარქიის მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ღვდელთ-მთავართაგანი. ოთხთავი გადაწერილია ამ არსენი ჭერემელის ძმის ათანასე წიგნაურისგან, რომელიც ყოფილა წინამძღვრათ ღვთის მშობლის იმ ლავრისა სადაც გადაიწერა ხელთნაწერი. საიდან მიიღო ათანასემ წიგნაურის წოდება, ვერას ვიტყვით. ხოლო ის გარემოება, რომ ათანასე ყოფილა **მამულობით მამასახლისათ მონასტრისა**2).

1) დიმ. ფურცელაძე ამ გუჯარს შეცდომით ათარიღებს 1777 წლით (цер. гуджары 44).

2) ძველათ არა იშვიათი იყო მემკვიდრობით ღვდელთავრობის მიღების მაგალითები. მძლავრნი იპყრობდენ კათედრებს და, რათგანც მათ უყურებდენ, როგორც შემოსავლის წყაროს, გვარში ჩამომავლობით გადადიდდა ეპისკოპოზობა. ამნაირი ღვდელთავრები. მომეტებულ შემთხვევაში, იყვენ უღირსნი და მათ შესახებ დავით აღმაშენებელის ჰემატიანე ამბობს, რომ მათ „მამულობითა, ვიდრე ღირსებით დაეპრყნენ უფროს საეპისკოპოზნი'' (ქარ. ცხ. 1,241) და თუ, როგორც მოგვითხრობს იგივე დავით მეფის ისტორიკოსი, ამ ღვდელმთავრებმა დაადგინეს მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოზნი (იქვე), უეჭველია, ეს გვაფიქრებიებს, რომ არსენი და ათანასე ყოფილან ხორნაბუჯის ერისთავთა გვარიდან.

საღოდებელათ, ან საგოდებელათ ძველათ იწოდებოდა სასაფლავო. წმ. მოწამე აბოს ცხოვრებიდან უკვე ვიცით, რო ქალაქ თფილისშიაც სასაფლავოს საღოდებელი ერქვა (საქ. სამოთხე—346; ბაქრაძე—Тифлисъ въ истор. и этногр. отношеніяхъ 22 და ი. ჯავახიშვილი. „საქ. ეკონ. ისტორია, წ. 1, 21). ხსენებული ღვთის მშობლის ლავრასაც, როგორც საგვარეულო სამარხ ადგილს, ქონდა მითვისებული სახელი საღოდებელისა.

39 ფურცლის (ნაანგარიშევია დარჩენილი ფურცელთა მიხედვით) ქვემო არმიაზე ხელნაწერს აქვს მხედრული მინაწერი:

№ 24. „ულირსი იმერთა კათალიკოზი მაქსიმ მოვ... (შემდეგი არ იკითხება).

მაქსიმეს სახელით დასავლეთ საქართველოში ჩვენ ვიცით ორი კათალიკოზი. ერთი მათგანი ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და მართავდა საქათალიკოზოს 1639 და 1657 წლებ შვა (თ. ჟორდანია. ჟურ. „განთიადი", 1913 წ. წიგნი პირველი 1,258). ღვდელი პ. კარბელაშვილის სიტყვით, ეს მაქსიმე დაყენებულ იქნა კათალიკოზათ 1628 წელს, ხოლო 1640 წელს „დროთაშლილობისგან და ქამთა დაუდგრომელობის გამო" წარვიდა იერუსალემს, სადაც მიიცვალა და დაეფლა ჯვარის მონასტერში (იერარქია საქ. ეკლესიისა—208) კარბელაშვილის დატები სინამდვილეს არ უნ-, და ეთანხმებოდეს (თ. ჟორდანია. „განთიადი", 1913 წ. წიგნი 1, 257 და 258). 1640 წელს 8 თებერვალს მოქვის ტაძარში (აფხაზეთში) მაქსიმემ მიიღო რუსეთის ელჩი ელჩინი და უჩვენა მას თეთრი ქვისგან გაკეთებული კვირისთავი 1), რომელიც, გადმოცემით, ეკუთ-

ბედი ეწვეოდათ მონასტრებსაც. ამ ,,მამულობით'' საეპისკოპოზოთა და ეკლესია მონასტერთა დაპყრობას ადგილი ქონდა ბაგრატ IV დროსაც (ჯავახიშვილი. ქართერის ისტორია 532). და, უეჭველია, ეს სენი იქნებოდა გავრცელებული იმ დროსაც, რომელსაც ეხება ჩვენი ნაწერი. ამნაირი წესი სუფევდა, განსაკუთრებით, იმ მონასტრებში, რომელნიც ითვლებოდენ საგვარეულო მონასტრებათ. ფარსმან ერისთავიც ზარზმის მონასტერს თავის მამულათ თვლის (,,საყდარსა ზარზმას მამულსა ჩემსა''. იხ. ექვ. თაყაიშვილი. Археол. экскурсія, разысканія и замѣтки, вып. 1,35)

1) ღვ. პ. კარბელაშვილი მოგვითხრობს, რო მაქსიმემ აჩვენა ელჩინს თეთრი ქვის თითის ტარი ღვთისმშო-

ნოდა ღვთისმშობელს, და აგრეთვე სხვა რელიკვიებიც [2]).

მეორე მაქსიმე ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მიიცვალა კიევში (თ. ჟორდანია. Абхазскіе Каталикосы, გვ. 23 და ჟურ. „განთიადი", წ. I, 367).

პირველი იყო გვარათ მაჭუტაძე, ხოლო მეორე—აბაშიძე. უკანასკნელზე ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი და მაზე აქ არ შევდგებით. მხოლოთ მოვიხსენებთ, რო მისი სიკვდილის შემდეგ, შეწყდა იმერეთში კათალიკოზობა.

ძნელი სათქმელია დანამდვილებით, რომელი ამ ორ მაქსიმეთაგანია ნაგულისხმევი ხელნაწერის მინაწერში. მარა, თუ მივიღებთ მხედველობაში მინაწერის ხასიათს, ჩვენი აზრით, მასში უნდა იგულისხმებოდეს მაქსიმე პირველი.

2) ქაღალდზე ხუცური ხელნაწერი, 10 X სანტიმეტრი, შეიცავს 17 ფურცელს, ხელნაწერი ეკუთნოდა სხვავის უდაბნოს. წიგნის შინაარსია იოანე ნათლის მცემელი დაუჯდომელი. ბოლოს აქვს მინაწერი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ის გადაწერილია 1766 წელს სიონის დეკანოზის ნიკოლოზის ხელით.

№ 25. „აღიწერა ხელითა სიონის დეკანოზის ნიკოლოზისათა ჩღჲ".

3) ხუცური ხელთნაწერი დაუჯდომელი იოანე ნათლის მცემლისა, 10X9 სანტიმეტრი.

ხელთნაწერში 20 ფურცელია. მინაწერები:

№ 26. „განსრულდა ჩყნბ წელსა აპრილის 23".

№ 27. „ჩყნ-სა წელსა ივნისის თვრამეტსა მარსკვლავმა კუდი გამოიბა".

4) ხელთნაწერი დავითნი, 16X10 სანტ., წიგნი დაშლილია, თავი და ბოლო აკლია, დარჩენილა მხოლოთ 122 ფურცელი. პალეოგრაფიულის ნიშნებით ნიშნებით და ნუსხა ხუცური ხელის ხასიათის მიხედვით, ხელნაწერი შეიძლება მივაკუთნოთ მე XVI—VII საუკუნეს.

5) ხუცური ქაღალდზე ხელთნაწერი ქამნი, in ocfavo, ყდა ტყავისა, თავში აკლია, დარჩენილა მხოლოთ 153 ფურცელი. წერის ხასიათის მიხედვით, ხელნაწერი უნდა ეკუთნოდეს მეჩვიდმეტე საუკუნეს.

6)ხელთნაწერი ხუცური დავითნი, 14X10 სანტიმეტრი. თავში რვა ფურცელი აკლია. პირველი ნაწილი ხელ ნაწერისა (136 ფურცელი) დაწერილია პეგრამენტზე, ხოლო მეორე (46 ფ.)— ქაღალდზე ამ მეორე ნაწილს შიგა და შიგ და ბოლოსაც ფურცლები აკლია. ზოგიერთ ტყავის ფურცლებს არშიები წაჭრილი აქვს, ალბათ წარწერების მოსასპობლათ. იმ ფურცელს, სადაც მოთავსებულია მეჩვიდმეტე ფსალმუნი, არშიაზე აქვს შემდეგი მხედრული მინაწერი:

№ 28 „ესე ფრალმუნი სამჯერ წავიკითხე მტერისა წარწყმედისათვის" (მინაწერს ყოველ სიტყვის შემდეგ, უზის სამასამი წერტილი.) სხვა მინაწერები გადასულობისგამო არ იკითხება.

მეორე ნაწილი წიგნისა დაწერილია სხვა ხელით და მელნით. ეს უკანასკნელი ნაწილი მე XVII საუკუნეს უნდა ეკუთნოდეს. ხოლო პირველი ნაწილი წერის ხასიათით, გაცილებით უფრო ძველია.

(შემდეგი იქნება).

ამბერი.

ბლისაო (იერარქია საქ. ეკლესიისა 208). აქ პატივ-ცემულ ავტორს შეცდომით აქვს სიტყვა **თითისტარი**, კვირისთავის მაგივრათ. კვირისთავი, საბა სულხან ორბელიანის განმარტებით, არი საბრუნავის (თითისტარის) „თავის წამოსაცვამი, რათა სწორედ ბრუნვიდეს (ლექსიკონი 146). რო მოქვის ტაძარში დაცული იყო ღვთის მშობლის კვირისთავი და არა თითისტარი-ჩანს ელჩინის თანამგზავრი ღვდელი პავლეს სიტყვებიდანც. ის თავის მოხსენებაში ამბობს: „Максимъ же епископъ показывалъ веретенцО каменная бело" („Посольство Ѳеодора Ельчина и свящ. Павла Захарьева въ Дадіановскую землю.—см. Чтенія въ Имп. общ.исторіи и древностей Россійскихъ при Моск. университетѣ. 1887 г., кн, 2-ая статейный списокъ свящ. П. Захарьева стр. 352—353).

რედაქტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან. სტამბა „ძმობა". პუშკინის ქ., სახლი იაკ. გოკიელისა.

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაკტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე) წლიურათ ჟურნალი ეღირება 6 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთ ნ. თფილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან. მიხაილოვში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ ბ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ლანჩხუთში—ლუკა გ—ძე ურუშაძესთან, და ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Ланцхава.

დაიწყო ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო-ზე“ 1917 წლისთვის.

(წელიწადი მესამე)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან., ნახ. წლით 8 მ. ერთი თვით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი 7 კ. თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოთ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილ-ნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანვე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანათიც ივნისის გასულს. რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან სამ საათამდი და ნაშვადღევის 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდი. რედაქტორი—ი. თ. ტინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. სახლი მიქელაძისა.

დეპეშებისთვის: ქუთაისი, „სამშობლო“.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის

ყოველ დღიურ საპოლიტიკო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ,

„საქართველო-ზე“

ყოველკვირულ ნახატებიან დამატებით.

გაზეთი არის ეროვნულ დემოკრატულ მიმართულების. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთის ფასი: თელი წლით—15 მ. ნახევარი წლით 9 მ. სამი თვით 5 მ. ერთი თვით ქალაქში 1 მ, 80 კ. ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთი თვით, ფოსტის საშვალებით, არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიური ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. შემდეგი წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისთვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურათ, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე მოწერის დროს. რედაქციის მისამართი: თფილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: ლითიდ 9—3 ს.—საღამ. 5—7-მდი. რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომც. ამხ. „საქართველო“.